# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 17 იანვარი 2003 №4 (1775) | ფასი 50 თეთრი




# სიმართლე წინწაკასავით მწარე და უბრალოა

## ქართული ფეხბურთი ბაზრობაა, ყველას თავისი დახლი აქვს

## სიონმა გიორგი ქორიძეს ხელი დაადო: ტორპედოს პენალტი შეგნებულად არ გაუტანა

### ქუთაისელთა მეკარე და ბოლნისელთა თავდამსხმელი ბრალდებას აბსურდულად მიიჩნევენ

*ეს საქართველოა: აქ ყველაფერი სიბინძურის სუნით არის გაჟღენთილი. აქ ყველამ იცის, რომ მავანნი ათას შავბნელ საქმეში არიან გარეულნი და ასეთები ძალიან ბევრნი არიან. ისინი ავაზაკობას მზისით სჩადიან, მაგრამ ამ ქვეყანაში ბნელა და მათი სახელების გამომზეურებას უნდა მოერიდო — აქ რამის დამტკიცება თითქმის შეუძლებელია და როცა შესაძლებელია, მაშინაც ვერ ამტკიცებ. ყველა სფეროში ასეა და, ცხადია, ფეხბურთშიც.*

*საქართველოს ჩემპიონატს ბევრი მაყურებელი არ ჰყავს, მაგრამ რამდენიც ჰყავს, ისინი უყურებენ და გული უგრძნობთ, რომ ატყუებენ და  რომ ვილაცამ იმ თამაშის შედეგი წინასწარ იცის. ეს შოუც არ არის, რადგან შოუს ნიჭიერი რეჟისორები და შემსრულებლები სჭირდება. აქ კი უნიჭოდ გატყუებენ.*

*აქ ტყუილს ნიჭი ნაკლებად სჭირდება, რადგან უზნეო ადამიანი თავისას უნიჭოდაც კარგად აკეთებს, ანუ დაუსჯელი რჩება, შენ კი იძულებული ხარ, გაჩუმდე, რაკი რასაც მოედანზე ხედავ, დასამტკიცებლად არ კმარა, ხოლო მოედნის მიღმა საქმეში არავინ ჩაგახედებს.*



*გუშინ ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „ვიტ ჯორჯიადან“ იჯარით აყვანილ ფეხბურთელ გიორგი ქორიძეს მატჩის გაყიდვაში ადანაშაულებს. ლაპარაკია 8 დეკემბრის შეხვედრაზე „ტორპედოსთან“, რომლის ბოლო წუთზეც ქორიძემ მეტად უცნაურ ვითარებაში ვერ გაიტანა პენალტი. დავძინოთ, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ეს კლუბისგან მოთამაშის ამგვარად, ოფიციალურად დადანაშაულების პირველი შემთხვევაა. მართალია, იქამდე აკაკი ჩხაიძემ რამდენიმე ლოკომოტიველის ტოტალიზატორში უკანონო თამაშზე გადაჰკრა სიტყვა, მაგრამ მალევე იუარა.*



*ახლა ასეა: „სიონი“ ბრალს სდებს, ქორიძე და „ტორპედო“ გარიგებას უარყოფენ, ფედერაცია მხრებს იჩეჩავს.*

*ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა სინამდვილეში და დიდი ეჭვი გვაქვს, არც არასდროს გაირკვევა, ისევე, როგორც სხვა უამრავ შემთხვევაში გაჩენილ ეჭვს ეშველება რამე. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქორიძემ შეგნებულად გააფუჭა პენალტი, მით უფრო, რომ თავად ფეხბურთელსაც ყურადსაღები არგუმენტები აქვს. მაგრამ დავანებოთ თავი ამ ერთ კერძო შემთხვევას და გეკითხებით: თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ქართულ ფეხბურთში ბინძური გარიგებები არ ხდება?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

# ქვევით, ქვევით რომ მიფრინავ...

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 856 | 15 | 15 | ჩეხეთი | 687 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 787 | 16 | 17 | ბელგია | 686 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 780 | 17 | 16 | კამერუნი | 684 |
| 4 | 4 | გერმანია | 765 | 18 | 18 | პარაგვაი | 679 |
| 5 | 5 | არგენტინა | 750 | 19 | 19 | იუგოსლავია | 677 |
| 6 | 6 | ჰოლანდია | 746 | 20 | 20 | ს. კორეა | 669 |
| 7 | 9 | თურქეთი | 736 | | | | |
| 8 | 7 | ინგლისი | 734 | 22 | 22 | რუსეთი | 650 |
| 9 | 8 | მექსიკა | 732 | | | | |
| 10 | 10 | აშშ | 723 | 44 | 44 | შვეიცარია | 576 |
| 11 | 11 | პორტუგალია | 710 | | | | |
| 12 | 12 | დანია | 707 | 92 | 90 | საქართველო | 456 |
| 13 | 13 | იტალია | 705 | | | | |
| 14 | 14 | ირლანდია | 697 | 98 | 93 | ალბანეთი | 428 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

**გუშინ** ფიფამ და „კოკა-კოლამ" ახალი წლის პირველი სარეიტინგო ცხრილი გამოაქვეყნეს, რომელსაც მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ჩინოსნებმა ისტორიული უწოდეს, რაკიღა ფიფას მდიდარ ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა — ავღანეთის საფეხბურთო ნაკრები ბოლო, 204-ე სარეიტინგო ქულებით, თუმც ნათალიბარი ქვეყნის შვილებს ყველაფერი წინა აქვთ, ჩვენ კი ჩვენი მორყეული ნაკრების ვიკითხოთ, თვიდან თვემდე უკან-უკან რომ მიცოცავს. დეკემბრის რეიტინგში საქართველო 90-ე იყო, ახალი შედეგებით კი 92-ეა, სფფ-ის სიამაყეს ინდონეზიამ და სირიამ ჩაუშხუილეს, რიგში ვიეტნამია. გაწითლებული ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები სულ რაღაც 5 სარეიტინგო ქულით ჩამორჩება 456-ქულიან საქართველოს.

სათავეში კვლავაც ბრაზილიაა საგრძნობი უპირატესობით. მსოფლიოს ჩემპიონების ჩამოქვეითება წლეულს ერთობ გაუჭირდებათ საფრანგეთს და ესპანეთს, რაკიღა 8 ათეული ქულით ჩამორჩებიან ლიდერს.

მოწინავე ათეულში გარკვეული გადაადგილება მოხდა. თურქეთმა ინგლისი და მექსიკა მოიტოვა და მეშვიდე პოზიციაზე წამოსკუპდა. ევრო 2004-ის შესარჩევში ჩვენს მეტოქეთაგან პოზიციური ცვლილება მხოლოდ ალბანეთს შეეხო. ბრიგელის არწივები ხუთი ადგილით ჩაქვეითდნენ.

**პაატა კვანტალიანი**

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXI ტური
მეცი 0:0 ტულუზი

## იტალია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
ვიჩენცა 1:2 რომა



ვიჩენცა — რომა 1:2. რომაელები ვინჩენცო მონტელამ დააწინაურა



## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 16 იანვარი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ალბა 80:76 აეკ | ოლიმპია 76:55 ჟალგირისი |
| სკიპერი 85:75 პო ორტეზი | უნიკახა 76:68 მაკაბი |
| ბარსელონა 73:60 ეფესი | |

# ლარნაკა-აიანაპა-ლარნაკა

## დინამოს და ქეცბაიას სვლაგეზი

**თბილისის „დინამოს"** კვიპროსული შეკრება ორშაბათს დაეწყო, დღეს კი პირველ საკონტროლო მატჩს ითამაშებს ხაბაროვსკის სკა-სთან.

დინამოელთა საკონტროლო შეხვედრების მომდევნო გრაფიკი ასეთია: 19 იანვარს ივო შუშაკის გუნდი ვორონეჟის „ფაკელს" გაეჯიბრება, ხოლო სამი დღის შემდეგ კვიპროსულ „ანართოსისს".

საქართველოს ათგზის ჩემპიონი ქალაქ აიანაპას ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „მელისში" დაბანაკდა, რომელიც ხმელთაშუა ზღვიდან 100 მეტრითაა დაცილებული. იმავე სასტუმროში ბინადრობს „ფაკელიც", რომელშიც ყოფილი დინამოელი თეიმურაზ გადელიაცაა.

„დინამოს" სავარჯიშო მოედანი სასტუმროდან 2 კილომეტრშია და გუნდი იქ დღეში ორჯერ დადის ავტობუსით. პირველი ვარჯიში კი შუშაკელებს ორშაბათსვე ჰქონდათ — ფეხბურთელებმა ოდენ 20 წუთი იძუნძულეს, თუმც პლაჟურ სილაში.

საქართველოდან ლარნაკას აეროპორტში ჩასულ დინამოელებს თემურ ქეცბაია შეეგება. ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი გოლის გამტანი ქეცბაია ახლა „ანართოსისში" თამაშობს და თემური გასაჯიბრებლადაც ლარნაკაში დაუხვდება „დინამოს". ისე, 34 წლის ვეტერანმა აინაპაშიც მოინახულა გუშინ დინამოელები.

რაც შეეხება კარლოს ალბერტო და როჩას, ის ბრაზილიიდან გუშინ შეუერთდა შუშაკელებს.

**დავით თავართქილაძე**



კარლოს და როჩას შვილისთვის აღარ ეცლება

# სპირიდონის სიძე

## როგორ წავიდა და წამოვიდა ჩივაძის ჯილა

*ცოტა კაფანდარა და ოდნავ აწოწილი, ტექნიკური და ალღოიანი — ლადო ახალაია საამსეზონოდ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. თუმც ახალაიას ტრავმის გამო ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი, ფაქტობრივად, გაუცდა. მიუხედავად ამისა, ლადომ მაინც დაგვამახსოვრა თავი — ალექსანდრე ჩივაძემ თურქეთთან ამხანაგურ მატჩისთვის ეროვნული ნაკრების განაცხადშიც კი შეიყვანა.*

*20 წლის ახალაია უკვე ორი შვილის, ქალ-ვაჟის, მამაა. ლადო მოლდოვაში დაოჯახდა და მისი მეუღლეც საფეხბურთო ოჯახიდანაა — ახალაიას სიმამრ ალექსანდრ სპირიდონს მოლდოვას ნაკრებში საქართველოს წინააღმდეგაც კი უთამაშია*

**— „დინამო 3"-ში 1998-99 წლების სეზონში ჩაირიცხე, მერე „თბილისში" გადახვედი და მოლდოვაში ისე აღმოჩნდი, რომ ჩვენი ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი გქონდა ჩატარებული...**

— მოლდოვაში ხობის „კოლხეთის" ყოფილი პრეზიდენტის, პაატა თათარიშვილის დახმარებით წავედი, „ზიმბრუში" გასინჯვამ წარმატებით ჩაიარა და ასე ჩავირიცხე ამ გუნდში.

**— „ზიმბრუში" გატარებული სამი სეზონი შენთვის ძალიან ნაყოფიერი იყო?**

— დიახ, იქ თამაში ძალიან გამომადგა. კარგად მოვემზადე, განსაკუთრებით ფიზიკურად მოვლონიერდი. მენდნენ და მეც გავამართლე, ყველაფერი კარგად აეწყო.

**— „ზიმბრუ" ძალიან კარგი პირობებით დაიკვეხნის?**

— პირობები ნორმალური იყო, ხელფასი და პრემია მყოფნიდა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კარგი ხარისხის მოედნები — ეს ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— მოლდოვას ჩემპიონატის გარდა ევროტურნირებზე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზეც მოგიწია თამაშმა და იქაც კარგად წარმოაჩინე თავი.**

— ვფიქრობ, „სპარტასა" და „მარიბორის" წინააღმდეგ ურიგოდ არ მითამაშია, ალბანურ „ტირანასთან" გოლიც შევაგდე. ყველაფერმა ამან გამოცდილება შემძინა.

**— „ზიმბრუ" ერთია, მაგრამ ამავე დროს 18-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში სისტემატურად გიწვევდნენ. ვახტანგ კოპალეიშვილს ალბათ განსაკუთრებულად მოსწონდა შენი თამაში.**

— კოპალეიშვილი და ალექსანდრე ჩივაძე ჩემი „ზიმბრუში" თამაშის დროსაც მაკვირდებოდნენ. როცა შარშანდელ გაზაფხულზე უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან კარგად ვითამაშე, ალბათ მაშინ გადაწყვიტა ჩივაძემ, რეკომენდაცია გაეწია ჩემთვის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან.

**— ესე იგი „დინამოში" ჩივაძის რეკომენდაციით მოხვდი?**

— ეგრეა, „ზიმბრუში" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა მეთამაშა, მაგრამ „დინამომ" გამომისყიდა.

**— ჩვენსა და მოლდოვას ეროვნულ ჩემპიონატებს როგორ შეადარებდი?**

— მოლდოვაში უფრო ძალისმიერი ფეხბურთია, უფრო მეტი ბრძოლაა და უფრო ბევრს დარბიან. სამაგიეროდ, ჩვენში უფრო ტექნიკურ ფეხბურთს მისდევენ.

**— ევროტურნირებზე უკვე „დინამოს" მაისურითაც მოგიწია თამაშმა...**

— ტალინის ტვმკ-სთან ალბათ ნორმალურად ვითამაშე, „ლიბერეცთან" კი ჩემი თავის კმაყოფილი ნამდვილად ვერ დავრჩი — გოლის გატანა მმართებდა, მაგრამ ვერ შევძელი.

**— ტვმკ-სთან ივო შუშაკმა ნახევარდაცვაში გათამაშა და ისე ჩანდა, რომ ცოტა გაგიჭირდა ასეთ ამპლუაში ყოფნა...**

— „ზიმბრუში" სამი თვე ნახევარდაცვაში მომიწია თამაშმა, დანარჩენი დრო კი სულ ფორვარდი ვიყავი. ეს რომ შუშაკს ვუთხარი, ალბათ ამიტომ დამაყენა ნახევარდაცვაში, თანაც ლადო ბურდული დისკვალიფიცირებული იყო. ნახევარმცველობა მართლა გამიჭირდა, თავდასხმაში მირჩევნია თამაში.

**— ჩივაძემ რომ ეროვნულ ნაკრებში გიხმო თურქეთთან მატჩისთვის, ეს შენთვის დიდი სიურპრიზი იყო?**

— ამას მართლა არ ველოდი და ძალიან გამიხარდა.

**— როგორ ფიქრობ, 12 თებერვალს საქართველო — მოლდოვას მატჩისთვისაც გამოგიძახებს ჩივაძე?**

— არ ვიცი, ახალგაზრდულ ნაკრებში კი ალბათ ვითამაშებ.

**— შენ თავს როგორი სტილის ფორვარდად დაახასიათებ?**

— ასე ვთქვათ, გამქცევ ფორვარდად, რომელსაც დასწრებაზე თამაში შეუძლია, საჯარიმოს ფორვარდია და თავითაც კარგად თამაშობს.

**— „დინამოს" თავდასხმაში კონკურენცია გაიზარდა — გუნდმა რატი ალექსიძე და სანდრო იაშვილი დაიმატა...**

— მართლაც მაგარი კონკურენციაა. საქართველოში ყველაზე ძლიერი თავდასხმა „დინამოს" ჰყავს, უძლიერესი ნახევარდაცვა და დაცვაც „დინამოსია" და საერთოდ, „დინამო" ყველაფერში ჯობნის კონკურენტებს და ჩემპიონებიც ჩვენ უნდა გავხდეთ.

**— ფეხბურთის თამაშის გარდა კიდევ რა გიყვარს?**

— პინგ-პონგის თამაში, აგრეთვე „ჯოკერი" და ნარდი. მაგრამ საამისოდ დრო ძალიან იშვიათად მრჩება. სახლში რომ მივდივარ, ბავშვებს ვეთამაშები და მერე დასაძინებლად ვეშურები.

**დავით თავართქილაძე**



ლადო ახალაიას „ლიბერეცთან" მატჩში ხელიდან გაშვებული საგოლე შანსი დღესაც ახსოვს

# სიონი გიორგი ქორიძეს თამაშის გაყიდვას აბრალებს

## „ქორიძემ პენალტი შეგნებულად დაარტყა და შეგნებულად ააცილა“

*გასული წლის 8 დეკემბერს ბოლნისში, 21-ე ტურის მატჩში ერთმანეთს „სიონი“ და ქუთაისის „ტორპედო“ შეხვდნენ. მსაჯის, მერაბ მალაღურიძის მიერ დამატებულ დროში მალხაზ ასათიანმა გოლი გაიტანა და ქუთათურებმა 1:0 იმარჯვეს. აი, რას წერდა „სარბიელი“ ამ მატჩის შესახებ.*

*„...ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელი ფირუზ რეხვიაშვილი მოედანზე შეიჭრა და მერაბ მალაღურაძეს საათზე ანიშნა, დრო გასულია, რატომ არ დაამთავრეო. მალაღურაძემ თავისი საათი მოწმედ მოიყვანა და თამაშის გაგრძელება ბრძანა.*

*ფინალი იყო ტრაგი-კომიკური. ცენტრიდან გათამაშებული ბურთი მარცხენა ფლანგზე შავგულიძემ მიიღო და მასზე დაჯარიმდნენ. მასპინძლებმა მეტოქის კართან მოიყარეს თავი, მაყურებელიც წასასვლელად მოემზადა, როცა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს პორომინმა ხელი წაარტყა. მალაღურაძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. სტუმრები გაოგნდნენ, მასპინძლები ხარობდნენ, მაგრამ...*

*მსგავსი რამ იშვიათად, ალბათ, ძალიან იშვიათად თუ მომხდარა. ბურთთან ქორიძე მივიდა. მერე ოთხი მეტრით უკან დაიხია. მსაჯმა სასტვენით ანიშნა — დაარტყიო. ქორიძე დაიძრა და ჭანტურიას გახედა, რომელმაც ხელით ანიშნა, მოიცადეო. დამრტყმელი დაიბნა, შეჩერდა, მსაჯს გახედა, რომელსაც მომხდარზე რეაქცია არ ჰქონია. მაყურებელმაც ვერაფერი გაიგო, რა ხდებოდა. სიჩქარედაკარგული ქორიძე ხელახლა მოსხლტა ადგილიდან, მაგრამ ფეხი დაუცდა და დარტყმული ბურთი კარს ააცილა. განცვიფრებულმა გულშემატკივარმა ვერ გააზრა მომხდარი, მსაჯმა რომ საფინალოდ დაუსტვინა.“*

*„სარბიელი“, 2002 წელი. 10 დეკემბერი.*

## ამ ამბავს გაგრძელება გუშინ მოჰყვა

### საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის“ განცხადება

*15 იანვარი, 2003 წელი*

ბოლნისის საფეხბურთო კლუბ „სიონის“ დამფუძნებელთა საბჭო გაცნობებთ, რომ ფეხბურთელმა გიორგი ქორიძემ, რომელიც მიმდინარე წლის ივლისიდან 2002 წლის 25 დეკემბრამდე იჯარის წესით იყო განათხოვრებული ს.კ. „ვიტ ჯორჯიადან“ ს.კ. სიონში“, უხეშად დაარღვია საკონტრაქტო ხელშეკრულების მეხუთე პარაგრაფის „დ“ პუნქტი, კერძოდ: საქართველოს 2002-2003 წწ. XIV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის 21-ე ტურის კალენდარულ მატჩში ადგილობრივ „სიონსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის, მატჩის უკანასკნელ წუთზე სტუმართა კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. გ. ქორიძე მივარდა ბურთს და მოემზადა პენალტის დასარტყველად მაშინ, როცა „სიონის“ მწვრთნელებმა მას უარი უთხრეს პენალის დარტყმაზე, გ. ქორიძემ ბურთთან არ მიუშვა არავინ, გააკეთა გამორბენი ბურთისკენ, შეტორტმანდა, ჩაიჩოქა და ბურთთან გაჩერდა, რადგან ქუთაისელთა მეკარე ჭანტურიამ რაღაც საეჭვო ანიშნა. მატჩის არბიტრის მ. მალაღურაძის მითითებაზე თუ რატომ არ ურტყამდა გ. ქორიძე პენალტს, გ. ქორიძემ ჩაჩოქილი მდგომარეობიდან ბურთს „წაუცაცუნა“ და შეგნებულად ააცილა კარს დაახლოებით 2 მეტრით.

ს.კ. „სიონის“ დამფუძნებლები საგანგებო შეხვედრაზე და ვიდეოფირის განხილვისას ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფეხბურთელმა გ. ქორიძემ შეგნებულად დაარტყა და შეგნებულად ააცილა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

ბოლნისის ს.კ. „სიონის“ დამფუძნებელთა საბჭო მიმართავს ს.კ. „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას, ფეხბურთელი გ. ქორიძე ზემოაღნიშნული ქმედებისთვის იქნას დისკვალიფიცირებული ერთი წლით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ს.კ. „სიონის“ დირექცია იძიებს იმ სხვა ფეხბურთელთა ვინაობას, რომლებმაც მიიღეს დიდი წვლილი ქუთაისის „ტორპედოსთან“ დამარცხებაში.

ჩვენს მოსაზრებებს მოგაწოდებთ ახლო მომავალში.

*ს.კ. „სიონის“ პრეზიდენტი: ზ. ლობჟანიძე*

8 დეკემბრის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. გიორგი ქორიძეს, რომელიც „ვიტ ჯორჯიადან“ „სიონში“ იყო განათხოვრებული, 25 დეკემბერს ბოლნისურ გუნდში ყოფნის ვადა ამოეწურა. იგი ისევ ვეტერინართა საკუთრებაა.

უცნაურია, მაგრამ ფეხბურთელი „სიონიდან“ აიბარგა, განცხადება კი, რომელიც გიორგი ქორიძეს „ტორპედოს“ სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმის შეგნებულად აცილებას აბრალებს, ახლა გაკეთდა. დასკვნა ვიდეოფირის განხილვის საფუძველზეა გამოტანილი. იქვე ვკითხულობთ, რომ ფეხბურთელმა დაჟინებით მოითხოვა, პენალტი თავად შეესრულებინა. ყოველივე კლუბის მესვეურებმა საეჭვოდ მიიჩნიეს და ერთპიროვნულად დაამტკიცეს ქორიძის ბრალეულობა.

როცა ყიდვა-გაყიდვაზეა საუბარი, სულ ცოტა, ორი მხარე უნდა იყოს — გამყიდველი და მყიდველი. თუ ერთი ყიდის, მეორეს უნდა მიჰყიდოს გარკვეული სარგებლის მიზნით. ეს ბრალდება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში მეტოქე გუნდი მყიდველია, ანუ ამბავს ძალიან გრძელი კუდი მოჰყვება.

საინტერესოა, რატომ დასჭირდა თვეზე მეტი დრო ქორიძის გაშიფვრას? შეიძლებოდა თუ არა იმის დადგენა, რაც განცხადებაში წერია 8 დეკემბრიდან ერთი ან ორი კვირის განმავლობაში?

*ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია, ვითარებაში გასარკვევად, ცხადია, უპირველესად თავად ბრალდებულს — გიორგი ქორიძეს შევეხმიანეთ. ქუთაისელთა მეკარეს, გია ჭანტურიასაც დავეკითხეთ. „ტორპედოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და ფედერაციის პოზიციაც გავიგეთ და ამ ყველაფერს აქვე გთავაზობთ.*



# ეს სიცრუე და მონაჩმახია

*„სიონის“ პრეზიდენტ ზურაბ ლობჟანიძის წერილი რედაქციაში გუშინ მიიღო. ბოლნისური კლუბის თავკაცთა მტკიცებით, მთავარ დამნაშავეს გიორგი ქორიძეს გუშინვე ტელეფონით დავუკავშირდით, საქმის არსი მოვახსენეთ და კომენტარიც ვთხოვეთ. გიორგიმ სატელეფონო საუბარი იუარა, რამდენიმე წუთში ძველ ფედერაციასთან, იამანიძის ქუჩაზე შეხვედრა დაგვითქვა. სახეზე აღელვება არ ემჩნეოდა, უფრო გაკვირვებული ჩანდა, ამბობდა, დაუჯერებელია, ბოლნისელებმა ასე რად გამწირესო...*

— იმ ხალხმა ვიდეოფირი თუ ნახა?! რა სისულელეა, გუნდის ღალატი გულშიც არ გამივლია. „ტორპედოსთან“ მატჩის მოგებისთვის პრემიად თითოეულს 800 ლარი გვერგებოდა, თუ ფრედ ვითამაშებდით, 400 ლარს გვპირდებოდნენ. ის კი არა, „დინამოსთან“ წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებმა 200 ლარით დაგვასაჩუქრეს. რა უნდა შემოეთავაზებინათ ქუთაისელებს ისეთი, რომ ასეთი ხალხისთვის მემუხთლა?

არადა, რაღაც რომ ხდებოდა, კი ვგრძნობდი. „ტორპედოსთან“ მატჩის მერე, სტუმრად „მერანთან“ შეხვედრის ოქმშიც არ შემიყვანეს. ისიც მიკვირდა, ბოლნისელთაგან არავინ რომ არ მომესალმა, ხოლო ბოლო თვის ხელფასი საერთოდ აღარ მომცეს, არ გეკუთვნისო.

**— გიორგი, გადამწყვეტ მომენტში პენალტის დარტყმა რად დაიჩემე, როგორც ვიცით, „სიონში“ ამ მისიას სხვები ასრულებენ.**

— გუნდის შტატიანი პენალტისტი დავით გოდერძიშვილი იმ მომენტისთვის გამოცვლილი იყო. ლევან შავგულიძე და იური გაბისკირია, რომლებიც სტანდარტულ მდგომარეობებს ათამაშებენ, დაბნეულები ჩანდნენ. თავი არც სხვებს გამოუდიათ, მე კი, მინდორზე მატჩის მიწურულს გამოჩენილს, ძალა მერჩოდა, თანაც გოლის გატანა გულით მეწადა. ძირითადში არ მათამაშებდნენ და ჩემი შესაძლებლობის დასაბუთებას ვლამობდი.

**— მწვრთნელს ყური რად არ უგდე — ამბობენ, მახარაძე ქორიძეს პენალტის დარტყმას უშლიდაო.**

— ეგ სიცრუეა და მონაჩმახი. „ტორპედომ“ გოლი 93-ე წუთზე გაგვიტანა. თემურ მახარაძე სათადარიგოთა სკამიდან წამოიმართა და გასახდელისკენ გაეშურა. ვინც „თემურ სტეფანიაზე“ ერთხელ მაინც ყოფილა, ის მიმიხვდება კიდეც, რომ გასახდელიდან მწვრთნელი ხმას ვერაფრით მომაწვდენდა.

...შეგნებულად ააცილაო, რომ გაიძახიან, დავუშვათ მახარაძეს მოედანზე ჩემს ნაცვლად სხვა შეეშვა, მაშინ რას იტყოდნენ. მათი მტკიცებით ისე გამოდის, მწვრთნელსაც გაუყიდია თამაში. ეს ხომ სისულელეა. ამის მტკიცება სიგიჟეა და არაპროფესიონალიზმის მანიშნებელი.

**— ქუთაისელთა მეკარე გია ჭანტურიამ დარტყმამდე მართლა რამე განიშნა?**

— მე ასე ვიტყოდი: გიამ ანკესი გადმოაგდო, მე კი წამოვეგე. არც მიკვირს, ის ჩემზე ბევრად გამოცდილია. თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე ბურთი გავასწორე და დასარტყმელად მოვემზადე. ის იყო, ფეხის მოქნევა დავაპირე და ჭანტურიამაც მოიცა, მოიცა დაიძახა. შევცდი და შევჩერდი, დავიბენი კიდეც. დარტყმა მაინც გადავწყვიტე, თუმცა საყრდენი ფეხი დამიცდა და მიზანს ავაცილე.

**— „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშისას შტატიან პენალტისტად გთვლიდნენ. შენი გაცუდებული თერთმეტმეტრიანიც არ გვახსენდება.**

— „ტორპედოსთან“ მატჩამდე ერთხელ გავაცუდე დარტყმა. ეს „ლოკომოტივთან“ თასის მეოთხედფინალისას, პენალტების სერიაში შემემთხვა. საერთოდ, კარიერის მანძილზე სულ ორჯერ ვცადე, თერთმეტმეტრიანი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გამეტანა და ორჯერვე არ გამიმართლა. რკინიგზელებთან ბურთი ძელს გავარტყი, „ტორპედოსთან“ კი...

**— ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელთა მხრიდან თამაშის შეგნებულად დათმობას საერთოდ გამორიცხავ?**

— სხვის ნაცვლად მე რა გითხრათ, მაგრამ საქართველოში არ მეგულება მოთამაშე, მსგავსი რამ გულში გაივლოს. ფეხბურთელი არასდროს მოჭრის იმ ტოტს, რომელიც ასაზრდოებს და ზედ ტკბილად მოკალათებულა.

**მამუკა კვანტალიანი**



### გია ჭანტურია, „ტორპედოს“ მეკარე

— რა, მეც მადანაშაულებენ ბოლნისელები?

არ მიწყინონ, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, პატარა საფეხბურთო ხრიკი მოვიშველიე. მსგავსი სხვა დროსაც გამიკეთებია.

ქორიძე რომ ბურთისკენ დაიძრა და ფეხის მოქნევას აპირებდა, ნაბიჯი წინ წავდგი და მოიცა-მეთქი დავუძახე. იგი შეკრთა, დაიბნა, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, დარტყმა გადაწყვიტა, თანაც ფეხი დაუცდა და ბურთი კარს ააცილა. მსაჯმა ნიშანი მისცა, მე რაღას მისმენდა, პირდაპირ დაერტყა და გაეტანა.

### მალხაზ კაკაურიძე, „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი:

— საფეხბურთო კლუბ ბოლინისის „სიონის“ წერილი ჩვენც მივიღეთ და ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, ჩვენგან გიორგი ქორიძის დასჯას რომ მოითხოვენ. „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშისას ის მსგავს საქციელში შემჩნეული არ ყოფილა. თანაც წლის ბოლომდე ქორიძე „სიონის“ საკუთრება იყო და თუ დასჯა უნდოდათ, ვერდიქტიც თავად გამოეტანათ.

სადღეისოდ ქორიძე ტრანსფერზეა დაყენებული. მისთვის გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლებაც არ მიგვიცია. მეტად როგორ დავსაჯოთ?

თავად ფაქტი, რასაც ბოლნისელები წერილში აღნიშავენ, თუ მართალია,



აღმაშფოთებელია. სპორტში ძლიერმა ნაღდ ბრძოლაში უნდა იმარჯვოს. სამწუხაროდ, გარიგებული მატჩები ჩვენი ფეხბურთის სენია.

### რომან შოთაძე, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი

— თუკი კლუბი თვლის, რომ ფეხბურთელმა დააშავა, რა პრობლემაა, დასაჯოს. ფეხბურთელი ხომ კლუბის საკუთრებაა და არა ფედერაციის. ამდენად, გადაწყვეტილება „სიონის“ ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ.

**— გიორგი ქორიძე ბოლნისელებს „ვიტ ჯორჯიადან“ ჰყავდათ იჯარით აყვანილი. ხელშეკრულების ვადა ამოიწურა. ამიტომ „სიონს“ ფეხბურთელის დისკვალიფიკაციის უფლება არა აქვს.**

— ყოველივეს ცოტა არ იყოს, არასერიოზულობის ელფერი დაჰკრავს. სად იყვნენ ამდენ ხანს ბოლნისელები. თვენახევრის წინ მომხდარი ახლა რატომ გაიხსენეს. ვფიქრობ, „სიონმა“ „ვიტ ჯორჯიასთან“ უნდა დაილაპარაკოს და კლუბებმა ერთად იპოვონ გამოსავალი. თუ „სიონის“ განცხადება ფაქტებით არგუმენტირებულია, ქორიძის დასჯა ავტომატურად მოხდება, რადგან ასეთი ფეხბურთელი არც „ვიტ ჯორჯიას“ დასჭირდება.

**— „სიონის“ განცხადების თანახმად, ჩაწყობილ-გარიგებულ მატჩთან გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაში კი გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის პრეროგატივაა...**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგან „სიონის“ განცხადებას არ გავცნობივარ. კლუბს ოფიციალური წერილით ჯერჯერობით არ მოუმართავს ჩვენთვის.



### სოსო ფრუიძე, „ტორპედოს“ მწვრთნელი

— აღნიშნული ფაქტი კომენტარის ღირსად არ მიგვაჩნია. თავის მართლებას და გამოსავლის ძიებას არ დავიწყებთ. „ტორპედოს“ „სიონისთვის“ სათხოვარი არაფერი აქვს.





„ტორპედოს“ უკრაინელმა ანდრი პოროშინმა (№15) მეტოქის დაცვას ვერაფერი დააკლო

# ანთალიაში თურქეთში მეტი ქართველია

## გიუვენჩ ბეის ტრიო თვალში ეცა

**ზამთარმა** ანთალიაში ბევრი გუნდი შეყარა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ბუნდესლიგელები, ჰოლანდიელები, რუსთა, თურქთა თუ სხვათა საფეხბურთო კლუბები ემზადებიან. ჩვენ იმ ქართველთა ბედი გვაინტერესებს, უცხო გუნდებში რომ ეძებენ მომავალს.

ამჟამად „ქოჯაელსპორში“ სინჯებზე სამი ქართველი იმყოფება: გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე და გიორგი იმედაძე.

„ქოჯაელი“ ანთალიაშია შეკრებაზე. შარშან გუნდს ფინანსურად უჭირდა. ჩემპიონატის პირველ წრეში უფულობა პირდაპირ ცხრილზე აისახა — გუნდი ბოლო ადგილზე დამკვიდრდა. შემოდგომაზე „ქოჯაელის“ ბოსებმა ძველი მწვრთნელი ახლით, გიუვენჩ ქურთარით შეცვალეს, მაგრამ შედეგი ჯერ ვერ მოიმკეს.

კლუბის პრეზიდენტ ჰიქმეთ ერენკაიას თქმით, მან უკვე რამდენიმე სპონსორი გამონახა, რომლებმაც გაჭირვებულთა ანგარიშზე 400 ათასი დოლარი ჩარიცხეს. თავის მხრივ ქალაქის მერია 300 ათასამდე დოლარს დაჰპირდა და ბოლო ინფორმაციით, ეს ფული გუშინ დაჯდებოდა კლუბის ანგარიშზე. ამ ამბებით გახარებულმა მწვრთნელმა გუნდის გაძლიერება გადაწყვიტა და ამიტომაც დაიწყო მისთვის საჭირო ფეხბურთელების ძიება. მათ სიაში მოხვდნენ ქართველებიც და „ქოჯაელმა“ ისინი ანთალიაში იახლა.

პირველი ამხანაგური მატჩი თურქულმა გუნდმა ყაზანის „რუბინთან“ გამართა. „რუბინმა“ თავისი ქართული ტრიოთი, სილაგაძე-ჩალაძე-ჯელაძე, გასულ სეზონში რუსეთის პრემიერლიგის საგზური მოიხელთა.

შეხვედრა, რომელსაც, ცხადია, თურქები სჯიდნენ, „ქოჯაელის“ გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი ბულგარელმა ლეგიონერმა გეორგიევმა თურქი აბდულქადირის პასით შეაგდო. დიდავამ, ქემოკლიძემ და იმედაძემ სრულად ითამაშეს. ყველაზე მაღალი შეფასება აბდულქადირმა (4) დაიმსახურა. ჩვენებმა ორ სხვა თურქთან ერთად ერთით დაბალი ნიშანი მიიღეს.

ყაზანელი ქართველებიდან სილაგაძე მეორე ტაიმის დასაწყისში, ჩალაძე კი ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა.

ქურთარის თქმით, ახალწვეულმა ქართველებმა იგი მოხიბლეს და მათ გუნდში დარჩენის დიდი შანსი აქვთ. ჩვენებურებს განსაკუთრებით მეორე ტაიმში უვაჟკაციათ და გივი დიდავა ყველაზე გამორჩეული ყოფილა. შეხვედრის დასრულებისას მწვრთნელმა პირადად მიულოცა ქართველებს კარგი თამაში.

გუშინ, „ქოჯაელი“, ბუნდესლიგელ „ბოხუმს“ გაეჯიბრებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



გივი დიდავამ (№4) თურქებს თავი მოაწონა



რევაზ ქემოკლიძე

# ტორპედო მოსკოვში ორი მარცხით გაისტუმრეს

*გუშინ „მერანი-ოლიმპი“ და „ტორპედო“ კიდევ ერთხელ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ქარიან თბილისურ ამინდში მასპინძლებმა მეორედაც დაამარცხეს ქუთათურები. პირველი მატჩისგან განსხვავებით, უკრაინელი ალექსანდრ შტელინის სამწყსო გუშინ ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ხეირიანი საგოლე მომენტის შექმნა ვერ შეძლო.*

ამ ორი ამხანაგური მატჩიდან მხოლოდ ერთი შთაბეჭდილება დაგვრჩა — რისთვის მიდის „ტორპედო“ მოსკოვში თანამეგობრობის თასზე? თუ ქვეყნის ჩემპიონები ცივ რუსეთში რაიმე წარმატებას მიაღწევენ, ამას რა აჯობებს, მაგრამ ასეთი გუნდით, მით უმეტეს, ასე მოკლე ხანში, ამაზე ფიქრი წარმოუდგენელიც კი ჩანს.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედო“ მოსკოვში დღეს გაფრინდება.

„მერანი-ოლიმპმა“ სულიკო დავითაშვილისა და გოჩა ხოჯავას გოლებით 2:0 მოუგო მეტოქეს. თბილისელთაგან ერთობ იყოჩაღა კაპიტანმა თორნიკე აფციაურმა, რომელიც „დინამოდან“ თუ გეხსომებათ. ამ სამეულის გარდა კობა ჟორჟიკაშვილის გუნდში სხვა, საქართველოში მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიც არიან — რევაზ ნაჭყეპია, გოჩა გუჯაბიძე, გიორგი დავითნიძე, მიხეილ მესხი, კონსტანტინე მეტრეველი...

ურიგო შემადგენლობა არც „ტორპედოს“ ჰყავს, თუმც გუნდი შეუთამაშებელს ჰგავს. ფეხბურთელებს მოედანზე გადაადგილებაც შესამჩნევად უჭირთ.

„მერანი-ოლიმპი“ კი ჯერაც დაუკომპლექტებელია. მწვრთნელები ბლომად ფეხბურთელს აკვირდებიან და როგორც მთავარმა მწვრთნელმა *კობა ჟორჟიკაშვილმა* გვითხრა, მალე საბოლოოდ ჩამოაყალიბებს ძირითად ბირთვს. ჟორჟიკაშვილს კიდევ რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— როგორ შეაფასებთ თქვენი გუნდის დღევანდელ თამაშს?**

— შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. სასიამოვნოა, რომ „ტორპედო“ დავამარცხეთ. ეს ბიჭებისთვისაც კარგი სტიმულია.

**— „ტორპედოს“ ორი დღის წინაც მოუგეთ. ალბათ, ახალშექმნილი გუნდისგან ასეთ შედეგს არ ელოდით...**

— ორივე მატჩის მოგებაზე წინასწარ ფიქრი, ცხადია, ძნელი იყო, მაგრამ ჩემი გუნდი რომ კარგ თამაშს აჩვენებდა, ეს ვიცოდი. კარგმა თამაშმა კი შედეგიც მოიტანა.

**— გუნდი ჯერაც დაუკომპლექტებელია, მაგრამ გარკვეული მონახაზი ალბათ უკვე გააკეთეთ. შესაძლებელია, რომ „მერანი-ოლიმპში“ კიდევ გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელები, თუ ძირითად ბირთვს ამ კონტინგენტიდან შეარჩევთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. ჯერჯერობით ამათ ვაკვირდებით. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და მთავარია, ყველაფერი კარგად გავთვალოთ.

**— გუნდის მომზადებას უცხოურ შეკრებაზეც აპირებდით...**

— ალბათ, წავალთ კიდეც. თებერვლის დასაწყისში კვიპროსზე ვაპირებთ ორკვირიანი შეკრების მოწყობას. იქაური ვარჯიშები და ამხანაგური მატჩები ძალიან წაგვადგება. ბიჭები გამოცდილებასაც შეიძენენ და ჩემპიონატისთვისაც საფუძვლიანად მოემზადებიან.

**— გასაგებ მიზეზთა გამო „მერანი-ოლიმპს“ გაზაფხულზე უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა. მომავალ სეზონში კი, ალბათ, უფრო სერიოზული მიზნები გექნებათ...**

— ჯერ უმაღლეს ლიგაში დავრჩეთ და მაგაზე მერე ვილაპარაკებ.

**კახა ზალამბერიძე**



კობა ჟორჟიკაშვილი

# ფილია წყვილად უშვებს და რეკორდსმენს იღებს

## ტულუში ზღვისპირს აუყვა და ფაზისზე მივიდა

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენი თეიმურაზ ტულუში საგაზაფხულო ეტაპიდან ალბათ ფოთის „კოლხეთის“ მაისურას მოირგებს. 30 წლის ტულუში „ბათუმიდან“ თავისუფალია და ახლა სწორედ კოლხებთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

— თემურს უკვე შევხვდი. ვისაუბრეთ გუნდის მომავალზე და კონტრაქტის პირობებზე. ფეხბურთელს დიდი სურვილი აქვს, „კოლხეთში“ ითამაშოს. მისივე თქმით, „ბათუმთან“ არაფერი აკავშირებს და ახლა მთავარია, შეთანხმება შევძლოთ. დღეს კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები და საბოლოოდ გადავწყვეტთ ამ საკითხს — გვითხრა გუშინ „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ.

შეგახსენებთ, თემურ ტულუშს დღემდე სულ სამი კლუბის — „ბათუმის“, ებრაული „ბნეი იეჰუდასა“ და თბილისის „დინამოს“ ღირსება დაუცავს. ორი წლის წინ კი ფეხბურთიდან წასვლაც გადაწყვიტა, თუმც მოგვიანებით გადაიფიქრა.

„კოლხეთში“ სხვა სიახლეებიცაა. უფრო ზუსტად, გუნდი შესაძლოა კიდევ ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. როგორც ჩანს, „კოლხეთს“ ფეხბურთელების წყვილად დაკარგვა დაებედა. ჯერ იყო და გონჩაროვ-წიტაიშვილის დუეტმა მიაშურა უცხოეთს, მერე გაბიდაურმა და გაგუამაც სხვა ნავსაყუდელს დაუწყეს ძებნა, ახლა კი გელა ფანჩულიძე და ელდარ გვასალია აპირებენ ფოთის დატოვებას, თუმც აქ საქმე სხვაგვარადაა:

— ფანჩულიძეს და გვასალიას ხვალ ბოლო შანსი აქვთ. თუ ისინი ვარჯიშზე არ გამოცხადდებიან, დაუყოვნებლივ ტრანსფერზე დავაყენებ. გადაიხადოს ნებისმიერმა გუნდმა გარკვეული თანხა და ეს ფეხბურთელები მათთვის დამითმია. ამაზე ხელმძღვანელობასთანაც შეთანხმებული ვარ — ასეთია სოსო ფილიას ულტიმატუმი.

ასე რომ, „კოლხეთში“ გაგანია მიდიმოდია. გაგრძელება იქნება, რადგანაც როგორც გავიგეთ, ფოთელების კარსაც მალე ახალი დარაჯი ეყოლება.

**კახა ზალამბერიძე**



თემურ ტულუში

# სისეს მისია: თავი და ბოლო მისია

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXII ტური

**სოშო 0:0 მონაკო**

**ბასტია 2:0 ლიონი**

1:0 ესიენი (66), 2:0 ფ. მორისი (80)

**გენგამი 0:2 ოსერი**

0:1, 0:2 ჯ. სისე (8, 90)

**მონპელიე 2:2 ნიცა**

1:0 ბარბოსა (3), 1:1 ჩერადი (21), 2:1 ბარბოსა (23), 2:2 კ. დიავარა (67)

**პსჟ 1:0 ლე ავრი**

1:0 ალოიზიო (34)

**სედანი 1:1 აიაჩო**

0:1 დემონი (30), 1:1 ა. კამარა (43)

**მარსელი 2:0 რენი**

1:0 ბაკაიოკო (6), 2:0 ვან ბუიტენი (18)

**სტრასბური — ბორდო**

გადაიდო

**ლანსი — ნანტი**

გადაიდო

**ტრუა — ლილი**

გადაიდო

ავდრის გამო სამი მატჩი გადაიდო, მაგრამ ცხრილის თავ-ბოლოზე უამინდობას საგრძნობლად არ უმოქმედია. „სტრასბური", „ლანსი" და „ტრუა" თავის მეტოქეებს მოგვიანებით უმასპინძლებენ. რაც შეეხება გაჯანჯლებულ, გადასათამაშებელ შეხვედრას „მონპელიესა" და „ოსერს" შორის, ალბათ ამ უქმეებზე გაიმართება. უქმეებზე ფრანგები ლიგის თასის მერვედფინალისთვისაც მოიცლიან, რადგან „ოსერსაც" და „მონპელიესაც" თასი გვერდზე დარჩათ, ისინი თავის მრავალტანჯულ მატჩს ითამაშებენ.

უნდა ვთქვათ, რომ პოტენციურად გი რუს გუნდი ლიდერია. მას ორი თამაში აქვს თადარიგში.

რეალურად კი ოცეულის თავში ისევ ლაჟვარდოვანი „ნიცაა" მოქცეული. ნიცელები მონპელიეს ესტუმრნენ და „სტად დე მოსონზე" გვარიანი ბრძოლა გაუმართეს.



REUTERS მონშემლიურიდან

მონპელიე — ნიცა. კაბა დიავარამ (წინ) ნიცელები მარცხისგან იხსნა

მასპინძელმა სედრიკ ბარბოსამ, ვიქტორ ბონილიასა და ბერტრან რობერის ორსვლიანი კომბინაცია დამიან გრეგორინის კარში უზადო დარტყმით დაასრულა.

გაშვებულ გოლს მიმხვდურნი არ დაუფრთხია. მალევე სკოტო დი პორფირიოს წამოწყებული საქმე ერიკ რუამ გააგრძელა. აბდელმალეკ ჩერადი „მონპელიეს" მეკარეს, რუდი რაუს შეჰყარა და ანგარიში გათანაბრდა.

დიდხანს სიხარული ნიცელებს არ ეწერათ. ბონილია-ბარბოსას წყვილმა ორიოდ წუთში მეორე გოლი გამოაცხო.

პირველი ტაიმის შუაწელიდან თითქმის ერთი საათი იყო გასული, როცა რომან პიტომ კაბა დიავარა ერთ მცველს შეატოვა და მასაც გატანა არ გასჭირვებია. მოპოვებული ქულით „ნიცა" პირველ ადგილზე დარჩა.

შინ ბრწყინვალედ მოთამაშე „ბასტიამ" ჩემპიონი „ლიონი" დაჩაგრა. კორსიკელები სტუმრად არიან მორიდებულნი, თორემ შინ ნებისმიერის გამწარება ძალუძთ.

ჩემპიონს ბრაზილიელი მთავარი კაცი, კაპიტანი სონი ანდერსონი აკლდა და სამკლავური ჟერემი ბრეშემ გადაიბარა.

უგოლო პირველი ტაიმის მიუხედავად, ქომაგებს არ მოუწყენიათ. შესვენების შემდეგ კი სტუმართა კარში გატანილი ორი გოლით გაიხარეს. ჯერ მიკაელ ესიენმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ეგრევე კუპეს ზურგსუკან მოაყუჩა, მერე კი ფლორიან მორისმა ბენ საადას გამოზომილი პასით ისარგებლა.

„ოსერმა" ზედიზედ მეორე მარცხი აგემა „გენგამს". სტუმართა მეგოლემ ჯიბრილ სისემ ორჯერ გამოიჭირა გენგამელი მცველები. პირველად შეხვედრის დასაწყისში გაექცა მათ და ერთ შეხებაში რონან ლე კრომს გაუტანა, ხოლო მეორე მატჩის მიწურულს გამოჩარხა.

ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა „აიაჩომ" სტუმრად „სედანს" ქულაააფცქვნა. მეტოქეები ერთურთს შესვენებამდე გატანილი თითო გოლით დაშორდნენ. სტუმრები იოან დემონმა დააწინაურა, რომელმაც ვალტერ გუგლიელმონის კარგი პასი შეირგო. დამხდურთაგან ანრი კამარამ იყოჩაღა ნდიეფის ზუსტი გადაცემით.

ლუის ფერნანდესის პსჟ-მ „პარკ დე პრენსზე" კინკილა გოლით „ლე ავრი" დაამარცხა. ნაცოდვილარი გამარჯვებით ფერნანდესი შორს ვერ გაფრინდება, მით უმეტეს, ფეხები წყლითა აქვს დამძიმებული. პარიზელებს რონალდინიო არ ჰყავდათ და ალბათ თვის ბოლომდე ვერც ითამაშებს, რადგან მუცლის გვრემას შეუწუხებია მას შემდეგ, რაც სამშობლოდან დაბრუნდა. ერთადერთი გოლი უგო ლავალის ჩაწოდებულს და ჟოზე ალოიზიოს ზუსტ დარტყმულს მოჰყვა.

უგოლოდ დასრულდა მატჩი „ოგიუსტ ბონალზე", სადაც „სოშომ" „მონაკოსთან" ქულები გაიყო. შეხვედრა უხეშობით გამოირჩა და მთლიანობაში ოთხი ყვითელი ბარათი ერთმა წითელმა დაამშვენა. მონაკოელთა მექსიკელი მცველი რაფაელ მარკეში ერიკ პულამ ჯერ გააფრთხილა, მერე მინდვრიდან მიაბრძანა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 22 | 10 | 8 | 4 | 28:16 | 38 |
| მარსელი | 22 | 11 | 5 | 6 | 23:20 | 38 |
| ლიონი | 22 | 10 | 6 | 6 | 37:27 | 36 |
| მონაკო | 22 | 9 | 8 | 5 | 32:20 | 35 |
| ოსერი | 20 | 10 | 5 | 5 | 22:17 | 35 |
| სოშო | 21 | 9 | 7 | 5 | 23:14 | 34 |
| გენგამი | 22 | 10 | 4 | 8 | 31:28 | 34 |
| პსჟ | 22 | 8 | 8 | 6 | 30:21 | 32 |
| ბორდო | 21 | 8 | 6 | 7 | 26:20 | 30 |
| ნანტი | 20 | 8 | 4 | 8 | 23:24 | 28 |
| ლანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 18:19 | 28 |
| ბასტია | 22 | 8 | 4 | 10 | 23:28 | 28 |
| ლილი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:26 | 28 |
| სტრასბური | 20 | 7 | 6 | 7 | 23:30 | 27 |
| რენი | 22 | 7 | 5 | 10 | 21:25 | 26 |
| სედანი | 20 | 6 | 6 | 8 | 23:26 | 24 |
| აიაჩო | 22 | 4 | 8 | 10 | 17:28 | 20 |
| ლე ავრი | 21 | 4 | 7 | 10 | 14:25 | 19 |
| მონპელიე | 21 | 3 | 8 | 10 | 19:30 | 17 |
| ტრუა | 21 | 3 | 7 | 11 | 14:23 | 16 |

### II დივიზიონი

მე-20 ტური: გრენობლი — ვასკეალი 3:0; ტულუზი — ლორიანი 3:1; ლე მანი — რეიმსი 1:1; ლორიანი — ისტრი 1:0; ნიორი — გრენობლი 1:0; ვალანსი — კლერმონი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 20 | 11 | 6 | 3 | 28:16 | 39 |
| ტულუზი | 20 | 11 | 4 | 5 | 27:14 | 37 |
| ლორიანი | 21 | 10 | 4 | 7 | 25:23 | 34 |
| მეცი | 19 | 9 | 5 | 5 | 22:16 | 32 |
| შატორუ | 19 | 9 | 5 | 5 | 22:17 | 32 |
| გრენობლი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:14 | 30 |
| ნიორი | 20 | 8 | 5 | 7 | 22:20 | 29 |
| კრეტეი | 19 | 6 | 10 | 3 | 26:19 | 28 |
| ვალანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:23 | 25 |
| ბოვე | 19 | 6 | 6 | 7 | 11:10 | 24 |
| ლავალი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:20 | 24 |
| ვასკეალი | 20 | 5 | 9 | 6 | 16:19 | 24 |
| ამიენი | 19 | 6 | 5 | 8 | 15:17 | 23 |
| კლერმონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| სენტ ეტიენი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:16 | 22 |
| კაენი | 19 | 4 | 10 | 5 | 20:22 | 22 |
| ისტრი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:33 | 22 |
| რეიმსი | 20 | 3 | 10 | 7 | 16:22 | 19 |
| გენიონი | 19 | 4 | 6 | 9 | 13:22 | 18 |
| ნანსი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:27 | 17 |



ვალიადოლიდი — მალიორკა. სტუმარმა კარლოს დომინგესმა (მარჯვნივ) პირველ ტაიმში სამი გოლის გატანა მოახერხა

# ატლეტიკომ ხერესი სამ ყლუპად დალია

## ესპანეთი

### თასის 1/8 ფინალი.საპასუხო მატჩები

**ალავესი 1:2 მურსია (0:0)**

0:1 დ. კარანკა (53), 1:1 რუბენ ნავარო (71), 1:2 სეტვალსი (77)

**ოსასუნა 1:1 უნიონი (4:0)**

0:1 ხოსუე (38ს.კ.), 1:1 მუნიოსი (89)

**დეპორტივო 4:1 ალიკანტე (1:1)**

1:0 აკუნია (4), 1:1 მანოლო პერესი (34), 2:1 ამავისკა (45), 3:1 ტრისტანი (58), 4:1 ლუკე (83)

**ატლეტიკო 3:0 ხერესი (1:0)**

1:0 ხავი მორენო (44), 2:0 აგილერა (54), 3:0 ხავი მორენო (79)

**უელვა 1:0 ბეტისი (0:0)**

1:0 რაულ მოლინა (83)

**სევილია 2:1 ნუმანსია (3:1)**

1:0 არტეაგა (20), 2:0 მოიზესი (47), 2:1 სესტელო (89)

**ვალიადოლიდი 1:4 მალიორკა (2:2)**

0:1, 0:2, 0:3 კარლოსი (5, 10, 32), 1:3 ოსკარი (52), 1:4 აროლდ ლოზანო (55)

**თასის მფლობელმა** „დეპორტივომ" თავის მეტოქე „ალიკანტესთან", რომელიც მესამე დივიზიონის გუნდია, მერვედფინალის პირველ მატჩში ფრედ ითამაშა და საპასუხო მატჩს — ისევე როგორც წინა დღეს „რეალისა" და „ტერასას" შეხვედრას — სენსაციის სუნი სდიოდა. მაგრამ „რეალისა" არ იყოს, არც „სუპერდეპორმა" ინდომა ამგვარი რამ და იოლად დაამარცხა ალიკანტელები — ოთხი გოლი მეოთხედფინალში გასასვლელად საკმარისზე მეტიც იყო.

თუმცა სათასო დღემ ესპანეთში უხმაუროდ მაინც არ ჩაიარა. მეორე დივიზიონის ბინადარმა „მურსიამ" შინ ფრედ ითამაშა „ალავესთან", მაგრამ ვიტორიაში ჩავიდა და იქ გაიმარჯვა. ისე კი, დიდი შანსია, „მურსია" გაისად პრიმერადივიზიონში აბარგდეს, რაკი სეგუნდაში ამ უქმეებზე „ლას პალმასის" 6:1 ძლევის მერე, მეორე ადგილზეა. „ალავესს" კი წირვა დავიდ კარანკასა და ხოსეპ სეტვილსის მეორე ტაიმში გატანილმა გოლებმა გამოუყვანეს.

პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „უელვამ" ორ მატჩში გატანილი რაულ მოლინის ერთადერთი გოლით გამოთიშა „რეალ ბეტისი".

პირველ მატჩში შინ ფრეს დასჯერდა „მალიორკაც", სამაგიეროდ, ვალიადოლიდში ჩასულმა ოთხი გოლი გაიტანა. ამ გოლებიდან სამი კარლოს დომინგესისაა — სამივე პირველ ტაიმში გაიტანა.

სათასო გუნდად მონათლულმა მადრიდის „ატლეტიკომ", რომელმაც ჩემპიონატის ბოლო ტურში „დეპორტივოს" ათმატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა, ამ ჯერზე ბერნდ შუსტერის „ხერესი" დაჯაბნა. უცნაური თამაში კი იყო — დაბალდივიზიონელები გვარიან უპირატესობას ფლობდნენ და... 0:3 წააგეს. უბრალოდ ისე მოხდა, რომ „ატლეტიკომ" რამდენჯერაც დაარტყა, გაიტანა, „ხერესმა" კი პენალტიც ქარს გაატანა, არათუ სხვა საგოლე მომენტები. გამარჯვებულთაგან დუბლი მიითვალა ხავი მორენომ, ერთიც კარლოს აგილერამ შეაგდო.

დღეს მომდევნო ეტაპის წილისყრაა და ჩამოთვლილ გუნდებთან ერთად მომავალ მეტოქეებს „ოსასუნა" და „სევილიაც" შეიტყობენ, რომლებმაც ორი მატჩის ჯამში ძალიან იოლად დაამარცხეს „რეალ უნიონ დე ირუნი" და „ნუმანსია".

**გიორგი დარჯანია**

# თავს ქუდში რა უნდა?

## იტალია

### თასის 1/4 ფინალი
### I მატჩები

**ლაციო 2:1 ბარი**

1:0 კასტრომანი (41), 1:1 დაგოსტინო (66), 2:1 დაგოსტინო (89ს.კ.)

**ლაციო:** კონჩეტი, ოდო, კოლონეზე, ფ. კოუტუ, სორინი, კასტრომანი (ფიორე 72), სიმეონე, ლივერანი, კ. მანფრედინი, კ. ლოპესი (კორადი 62), კიეზა (გოტარდი 75)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**იუვენტუსი 1:2 პერუჯა**

1:0 ზალაიეტა (43), 1:1, 1:2 მიკოლი (44, 53)

**იუვენტუსი:** კიმენტი, ბირინდელი, ფრეზი, მორეტი (პარო 65), პესოტო, კ. ძენონი, ტუდორი (ძამბროტა 57), ბაიოკო, სალასი, დი ვაიო, ზალაიეტა (ტაკინარდი 46)

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**პერუჯელი** ფაბრიციო მიკოლის ორმა გოლმა ტურინში, „დელე ალპიზე", „იუვენტუსი" დაამარცხა. ეს გახლდათ იტალიის თასის მეოთხედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრა. სტუმრები თამაშის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. ბურთს უმალ ისინი ფლობდნენ, ვიდრე მასპინძლები, რომელთაც ამ მატჩში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის, მათ შორის ალესანდრო დელ პიეროსა და პაველ ნედვედის დასვენება გადაწყვიტეს.

და მაინც ანგარიში ტურინელებმა გახსნეს. ეს 43-ე წუთზე მოხდა, როდესაც მარსელო ზალაიეტამ საჯარიმო მოედნის შიგნიდან პერუჯელთა მეკარეს, ჟელკო კალაჩს აჯობა, თუმცა „ბებერ ქალბატონს" ზეიმი დიდხანს არ შეერგო. მათი გოლიდან ერთი წუთიც არ იყო გასული „პერუჯას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ზე მარიამ მასპინძელთა დაცვა გრძელი პასით რომ დააბნია. პასს მიკოლი გამოეხმაურა, მეურვეს, სალვატორე ფრეზის დაუსხლტა და ბურთი ცხრიანში შეაგდო.

მიკოლის მეორე გოლი ტურინელმა მაყურებელმა 53-ე წუთზე იხილა. მოხდა ისე, რომ „პერუჯას" თავდამსხმელი მარტო დარჩა „იუვენტუსის" ნახევარზე. მეკარე ანტონიო კიმენტი საჯარიმო მოედანს გარეთ გამოვარდა, მიკოლიმ კი ძალიან შორიდან დაურტყა და ბურთი კარში შეაგდო.

მართალია მასპინძლებს, ამის შემდეგ, მალევე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მარკო დი ვაიომ კალაჩს ვერ აჯობა, მეკარემ ბურთს თითები გაჰკრა და კუთხურზე გადააგდო.

და, რაც უნდა თქმა, რომ „პერუჯელთა" კოლორიტული მწვრთნელი სერსე კოზმი მომხდარით მეტად კმაყოფილი გახლდათ.

„ბუნებრივია, ეს მატჩი სერია A-ს მატჩებისგან განსხვავდებოდა, მაგრამ შედეგმა ძალიან გამახარა. ვგრძნობ, რომ თასის გათამაშებაში კარგი შედეგის მიღწევა შეგვიძლია, თუმცა ზეიმი ადრეა. „იუვენტუსს" 2:1-ს კი არა, 3:0-ს რომ უგებდე, თავი ქუდში არ უნდა იგრძნო". — განაცხადა მან.

ფაბრიციო მიკოლის მსგავსად ორი გოლი გაიტანა „ბარის" ფეხბურთელმა გაეტანო დაგოსტინომაც, ოღონდ, კოლეგისგან განსხვავებით, პერუჯელმა ერთი მეტოქის კარში შეაგდო ხოლო მეორე თავისაში — ოთხშაბათს გამართულ მეორე მეოთხედფინალურ შეხვედრაში „ლაციომ" „ბარის" 2:1 მოუგო.

ამ მატჩის პირველი ტაიმი მშვიდი იყო, თუმცა ერთი გოლი მაინც გავიდა — 41-ე წუთზე რომაელმა არგენტინელმა ლუკას კასტრომანმა დაბალი დარტყმით დააწინაურა თავისიანები. შესვენების შემდეგ მასპინძლები უფრო მონდომებით თამაშობდნენ და 65-ე წუთზე „ლაციომ" კინაღამ მეორე გოლიც შეაგდო, მაგრამ კრისტიან მანფრედინის დარტყმული „ბარის" მეკარემ გრაციანო ბატისტინიმ მოიგერია.

ერთი წუთის შემდეგ სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. დამნაშავე „ლაციოს" პორტუგალიელი მცველი ფერნანდო კოუტუ გახლდათ, რომელმაც პასი ვერ გათვალა, გზააბნეულ ბურთს დაგოსტინო დაეუფლა, მცველი მოატყუა და მეკარე ემანუელე კონჩეტის ფეხებსშორის გაუძვრინა.

ანგარიშის გათანაბრება „ლაციოს" თავკაცს, რობერტო მანჩინის ძალიან არ ესიამოვნა და სასწრაფოდ მიიღო ზომები — მოედანზე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები, სტეფანო ფიორე და ბერნარდო კორადი შეუშვა. ამ ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ ბოლო 15 წუთში რომაელებმა ორი აშკარა საგოლე მომენტი შექმნეს (დიეგო სიმეონემ და გუერინო გოტარდიმ თავით ბურთი ორჯერ მოარტყეს ძელს), 89-ე წუთზე კი კუთხური ჩააწოდეს და ზემოხსენებულმა დაგოსტინომ „ლაციოს" გამარჯვება აჩუქა.

**პაპუნა ძიძია**




# ბანქო, ფული და ფეხბურთი

## ნუ წაართმევთ შვილებს მომავალს

### ურჩევს ლოთყოფილი ადამსი ყომარბაზებს

ინგლისელ ფეხბურთელთა შორის გავრცელებულ ყომარბაზობაზე ამჯერად „არსენალის“ ვეტერანი მცველი, მრავალ სტადიონზე გამოცდილი და თავის დროზე მრავალი ბოთლის დამლევი ტონი ადამსი ალაპარაკდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის, რუუდ ვან ნისტელროოის წამოწეული, საზოგადოებისთვის მანამდე არცთუ უცნობი თემა ალბიონზე დიდი ინტერესით აიტაცეს და განავრცობენ.




ტონი ადამსი კი აი, რას ბრძანებს. იგი თვლის, რომ ფულზე ბანქოს თამაში იგივეა, რაც ნარკომანობა ან ლოთობა, უბრალოდ, ბოლო ორი სამედიცინო ტესტირებით მოწმდება, ყომარით კი იყომარე რამდენიც გინდა, არც სისხლი შეიცვლება და არც შარდი. ამიტომ ლოთობასთან დიდ ბრძოლაში გამარჯვებული არსენალელი ხალხს საქველმოქმედო ღონისძიებისკენ მოუწოდებს. მეტიც, ღონისძიებას სახელწოდებაც მოუგონა, „სპორტული შანსი“ დაარქვა და ამბობს, რომ ბანქოს მოყვარულ ფეხბურთელებს განკურნება სჭირდებათ.

შეგახსენებთ, რომ შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, ინგლისის ნაკრების ბანაკში დიდი აზარტული თამაშობა გამართულა და რომელიღაც ფეხბურთელს 30 ათასი გირვანქაც კი წაუგია. ახალ ინფორმაციაში, რომელიც სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა, დაზუსტებულია, რომ ეს ამბავი ხმამაღლა ირლანდიის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს ტონი კასკარინოს უთქვამს.

„აზარტული თამაში ის არის, რასაც კლუბებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ — ვუბრუნდებით ტონი ადამსის სიტყვებს — მასთან ბრძოლა ძნელია, მაგრამ ფაქტია, თუ ასე გაგრძელდება, დიდ სირთულეებს უნდა ველოდოთ. ნებისმიერ ნარკომანს და ლოთს ტესტირებით ამოვიცნობთ და დავეხმარებით, ყომარბაზობით შეპყრობილს კი როგორ გამოვავლენთ? ის თავის სნეულ საქმიანობას განაგრძობს და დაიღუპება“.

ადამსი დარწმუნებულია, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელებს ბანქოს ფულზე თამაშისკენ და ტოტალიზატორში სირბილისკენ არანორმალურად დიდი ხელფასებიც უბიძგებს და ნებისმიერი მათგანი რისკავს წააგოს ისეთი თანხა, რომ საბოლოოდ საკუთარ შვილებსაც დაკარგავს და ცხოვრებას წაიხდენს.

იგი განაგრძობს: „სულ უფრო მეტი ფეხბურთელი ყიდულობს ცხენს და შემდეგ საკუთარ ცხენზე ფსონებს ჩადის. ამასწინათ პრემიერლიგის თამაშს ვუცქირე და ვნახე, რომ ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გავიდა. გამოაცხადეს დაშავებულიაო, მაგრამ მე ეგ არ მესწავლება, დაშავებულს არ ჰგავდა. იმწუთას მივხვდი, რომ დოღზე ფული წააგო და უგუნებოდ ბრძანდებოდა. თანაც, დღეს ფულის წაგების უამრავი საშუალება არსებობს. შეგიძლია კაზინოს მიაშურო, შეგიძლია ოთახიდან გაუსვლელად, ინტერნეტით ჩახვიდე ფსონს რომელიმე ტოტალიზატორში. იცით, მერე რა ხდება? ისინი თავმოყვარეობას კარგავენ და ოღონდ ითამაშონ, მზად არიან საკუთარ შვილებს წაართვან დანაზოგი. ასეთი შემთხვევებიც ვიცი“.

**ბაპუნა ძიძია**



ქვიშაზე „ჩელსის“ მეკარე კარლო კუდიჩინისაც გაუჭირდა

# პრემიერლიგაში ჯერ არ მომხდარა

## სტემფორდ ბრიჯია თუ კოპაკაბანა?

**წინა შაბათს,** ინგლისურ პრემიერლიგაში, „ჩარლტონ ატლეტიკის“ ფეხბურთელები „ჩელსის“ წინაღმდეგ სათამაშოდ „სტემფორდ ბრიჯზე“ გავიდნენ და გაოცებულები დარჩნენ — მოედანზე ბალახის ნაცვლად ქვიშა დახვდათ.

„ჩარლტონმა“ ის მატჩი 1:4 წააგო და რა გასაკვირია, რომ ყველაფერი უხეირო მოედანს დააბრალა. კლუბი ამაზეც არ გაჩერდა და ფეხბურთის ასოციაციაში საჩივარი შეიტანა, გადათამაშება მოითხოვა.

ჩემპიონატის ღებულების მე-17 პუნქტში წერია, რომ მოედნის საფარი განსაზღვრულ მოთხოვნებს თუ არ აკმაყოფილებს, მასზე თამაში არ შეიძლება. ასევე წერია, რომ მასპინძელი გუნდის მენეჯერმა სტუმარი გუნდის მენეჯერს წინასწარ უნდა აცნობოს, თუ ამ მხრივ რამე წესრიგში არ არის. „ჩარლტონმაც“ ეს პუნქტი დაიხვია ხელზე: ერთი, რომ ქვიშაზე თამაში ნორმალურად არ ითვლება და მეორეც ის, რომ კლაუდიო რანიერის ალან კერბიშლისთვის წინასწარ არაფერი უთქვამს.

„ჩვენ გადათამაშებას ვითხოვთ — განაცხადა „ჩარლტონის“ თავმჯდომარე პიტერ ვარნიმ — ამგვარი მოთხოვნისთვის ყველანაირი საფუძველი გაგვაჩნია. თუკი სხვა გამოსავალი არ არსებობდა და აუცილებლად ქვიშაზე უნდა გვეთამაშა, წინასწარ უნდა გავეფრთხილებინეთ, რათა ჩვენს ფეხბურთელებს მატჩის წინ ამგვარ საფარზე ევარჯიშათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინდორზე და ქვიშაზე სათამაშო ბუცები ერთმანეთისგან განსხვავდება, ჩვენ კი მინდვრის ბუცებით გავედით. არადა, მეტოქე ფეხბურთელებს კი, ქვიშაზე სათამაშო ბუცები ეცვათ. ნახეთ იმ მატჩის ჩანაწერი და დარწმუნდებით, რომ ჩვენები წესიერად ვერც დარბოდნენ, ბურთსაც ვერ იმორჩილებდნენ და თავად ბურთიც უცნაურად დახტოდა“.

თავში სათქმელი ახლა ვთქვათ: „სტემფორდ ბრიჯზე“ ახალ გაზონს აგებენ, ძველი აიღეს და გუნდებს ქვიშაზე თამაშიც ამიტომ მოუხდათ.

„ჩელსიში“ კი მხრებს იჩეჩავენ, თამაშის წინ მსაჯებმა და ინსპექტორმა, როგორც წესი და რიგია, მოედნის ხარისხი შეამოწმეს და მატჩის ჩატარებაზე დასტური მოგვცესო, თუ არ შეიძლებოდა, თავიდანვე ეთქვათ, რაღას გვარბენინებდნენო.

ისე, კლაუდიო რანიერიმ მოგვიანებით აღიარა, ის თამაში პლაჟის ფეხბურთს უფრო ჰგავდაო.

„ჩარლტონის“ მოთხოვნა სათანადო ორგანოს ჯერ არ განუხილავს, ხოლო საკითხი მომჩივანის სასარგებლოდ თუ გადაწყდა, პრემიერლიგის ისტორიაში ამგვარი მიზეზით გადათამაშებული პირველი შეხვედრა იქნება.

**ირაკლი ნინიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ისრაელის** ნაკრების ნახევარმცველი ჰაიმ რევივო სტამბოლის „ფენერბაჰჩედან“ მეორე სტამბოლურ კლუბ „გალათასარაიში“ გადადის. თუ ამ ორი გუნდის ქომაგთა დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, ალბათ ეს ერთ-ერთი ხმაურიანი ტრანსფერი იქნება თურქული ფეხბურთის ისტორიაში. „ფენერბაჰჩეს“ ფანები რევივოს უკვე გამყიდველს უწოდებენ, ის მხოლოდ ფულზე ფიქრობსო. „გალათასარაიში“ კი ებრაელის მისვლა უხარიათ, მტერს ვასუსტებთო. კლუბების ხელმძღვანელებმა სატრანსფერო თანხაზე მოილაპარაკეს, თუმც ჯერ არ ახმაურებენ.

**ფრანგული „სედანის“ თავდამსხმელი სედრიკ მიონე ჩემპიონატის ლიდერ „ნიცაში“ გადაბარგდა. მიონემ ნიცელებთან კონტრაქტი გუშინ გააფორმა, ხელშეკრულებით ფეხბურთელმა კლუბში სამწლინახევრის მანძილზე უნდა ითამაშოს. „მიონე კარგი მოთამაშეა, დარწმუნებული ვარ, სედრიკი გუნდს ბევრ სარგებელს მოუტანს“ — განაცხადა გუშინ „ნიცას“ პრეზიდენტმა მორის კოენმა.**

**პოლონელ** ნახევარმცველ კამილ კოსოვსკის თქმით, მას საერთოდ არ უფიქრია ამჟამინდელ კლუბ კრაკოვის „ვისლას“ დატოვება. კოსოვსკის ესპანური „ოსასუნა“ ეპატიჟებოდა და მზად იყო, მის სანაცვლოდ 2 მილიონ 300 ათასი ევროც გაეღო, მაგრამ... „ვისლაში“ მსურს დარჩენა, აქ მე ყველაფერი მაკმაყოფილებს. დღე-დღეზე 2004 წლის ივნისამდე ახალ კონტრაქტს გავაფორმებ“ — ამბობს 25 წლის ფეხბურთელი.

**უნგრულ „დიო ეტოს“ ზოლტ ტამაში გაწვრთნის. წარსულში „ფერენცვაროშის“ ცნობილმა ფეხბურთელმა პოსტზე ზოლტან ვარგა შეცვალა. ტამაშის „დიორ ეტოს“ ხელმძღვანელობამ ჯერ კლუბის ტექნიკური დირექტორის პოსტი შესთავაზა, თუმც უფროსობა თავაზიანი უარით გაისტუმრა, მწვრთნელობა მსურსო. ახლა „დიორ ეტო“ უნგრეთის ჩემპიონატის ცხრილში მეხუთეა 17 თამაშიდან 27 ქულით.**

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდა. ნახევარმცველმა ნიკი ბათმა სამშაბათს 54 წუთი ითამაშა სარეზერვო გუნდში „შეფილდ უენსდის“ წინააღმდეგ. „მე ძალიან ბედნიერი ვარ. როგორც იქნა, დავბრუნდი და ვითამაშე“ — თქვა ბათმა. უხარია ალექს ფერგიუსონსაც, როი კინისა და დევიდ ბექჰემის მერე „მანჩესტერ იუნაიტედს“ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი დაუბრუნდა.

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე: პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 002 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 004 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 005 | ევერტონი-სანდერლენდი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 006 | ლიდსი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-სიტი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.35 | 008 | საუთჰემპტონი-ლივერპული | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 009 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
*მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება ესპანეთის ჩემპიონატი, თამამად შეგვიძლია, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადს" უკვე დღეს სეზონის სენსაცია ვუწოდოთ, ცხადია, მოულოდნელი ლიდერები შიგადაშიგ სხვა ქვეყნების ჩემპიონატებშიც ჩნდებიან, მაგრამ სანსებასტიანელთა სადღეისო შედეგი გმირობის ტოლფასია: უსწრებენ „ბარსელონას", „რეალს", „ვალენსიას", „დეპორტივოს" და რაც მთავარია, მათი დამმარცხებელი ჯერ არ გამოჩენილა.*

*ახლა, როცა პრიმერადივიზიონში თითქმის ნახევარი სეზონი მიილია, ცხადი შეიქნა, რომ „სოსიედადის" ლიდერობა სულაც არ არის შემთხვევითი და დროებითი ამბავი. ამიტომაც ვფიქრობთ, უპრიანია, ამ გუნდზე დაწვრილებით მოვყვეთ, მით უმეტეს, პრიმერადივიზიონში პირველი ქართველი გიორგი დემეტრაძე ბასკური კლუბის საკუთრებაა.*

ქალაქ სან სებასტიანში ფეხბურთის თამაში ზუსტად ასი წლის წინ დაიწყეს, როცა ახალი მოდური სახეობით ადგილობრივ ჩოგბურთის კლუბში დაინტერესდნენ. მალე სან სებასტიანის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კლუბში ფეხბურთის გუნდი შეიქმნა, რომელმაც 1909 წელს ესპანეთის თასზე თამაში გადაწყვიტა. მაგრამ კლუბი ტურნირზე არ დაუშვეს, აღმოჩნდა, რომ კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტებში რაღაც შეცდომები გაპარულიყო.

ამის მერე, იდეა, რომ ქალაქს თავისი გუნდი ჰყოლოდა, ველოსპორტის მოყვარულთა კლუბმა აიტაცა, რეგისტრაციაც წესიერად გაიარა და თასიც მოიგო. იმ დროის ესპანეთის ჩემპიონატი ჯერ არ ტარდებოდა და ამიტომ თასის მფლობელი ქვეყნის საუკეთესო გუნდად ცხადდებოდა. დავძინოთ, რომ სანსებასტიანელებმა ფინალში მადრიდის „ესპანიოლი" დაამარცხეს.

სან სებასტიანის საფეხბურთო საზოგადოების დაარსების ოფიციალურ თარიღად 1909 წლის 7 ნოემბერი ითვლება. მისი პირველი პრეზიდენტი უნივერსიტეტის პროფესორი, იურისტი დონ ადოლფო საენს ალონსო გახდა.

მომდევნო წლის 11 თებერვალს მეფე ალფონსო XIII კლუბს ტიტული „სამეფო" უბოძა და მას მერე ამ სახელითაა ცნობილი: REAL SOSIEDAD DE FOOTBALL DE SAN SEBASTIAN. სხვათა შორის, სანსებასტიანელებმა თავსართი REAL მადრიდელებზე ცხრა წლით ადრე მიიღეს.

1931 წლის რევოლუციის შემდეგ კლუბი იძულებული გახდა, სამეფო ტიტულს გამოთხოვებოდა და გუნდს „დონოსტია" (სან სებასტიანი ბასკურ ენაზე) ეწოდა. 1936 წელს კლუბმა ძველი სახელი დაიბრუნა.

თავდაპირველად „სოსიედადი" „ონდარეტის" სტადიონზე თამაშობდა. 1913 წლის 4 ოქტომბერს „სოსიედადისა" და ბილბაოს „ატლეტიკის" მატჩით ახალი სტადიონი, ლეგენდარული „ატოჩა" გაიხსნა, ახლანდელი სარბიელი, „ანოეტა" კი სულ 9 წლისაა — 1993 წლის 13 აგვისტოს მასზე გამართულ პირველ მატჩში მასპინძლებმა მადრიდის „რეალს" დაუხვდნენ.

## ლიფტი

1929 წელს სანსებასტიანელები ესპანეთის პირველ ჩემპიონატში მონაწილე ათი გუნდიდან ერთ-ერთი იყვნენ და მეოთხე ადგილზე გავიდნენ. მომდევნო ოთხი ათეული წელი კი აქეთ-იქით ხეტიალში და გაჭირვებაში გაატარეს. კლუბს ფული არ ჰყოფნიდა, მოთამაშეები და მწვრთნელები უფრო მდიდარ კლუბებში გარბოდნენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ 1935 წელს ბასკები სეგუნდადივიზიონში დაქვეითდნენ, ელიტაში მხოლოდ 1941-ში დაბრუნდნენ, მომდევნო სეზონში ისევ გავარდნენ და ერთი წლის მერე ისევ დაბრუნდნენ. სულ, 30-40-იან წლებში „რეალ სოსიედადი" ოთხჯერ გავარდა პირველი დივიზიონიდან და ერთხელ მესამე დივიზიონში ჩაშვებაც ემუქრებოდა. ბედად, სამოქალაქო ომის წლების არეულობამ უშველა, რომლის დროსაც ჩემპიონატის რეგლამენტი შეიცვალა და გუნდი მეორე დივიზიონში დარჩა.

ამ წინ და უკან ხეტიალის გამო სანსებასტიანურ გუნდს იმ წლებში „ლიფტს" ეძახდნენ.

1949 წელს პირველ დივიზიონში მორიგი დაბრუნების შემდეგ შავი დრო თითქოს დამთავრდა. ორი წლის მერე გუნდი ესპანეთის თასის ფინალშიც გავიდა, მაგრამ 62-ში კიდევ ერთხელ მოუხდა სეგუნდაში ჩაბრძანება — ამჯერად მთელი ხუთი წლით.

## ოქროს ხანა

ადრე თუ გვიან, ყველა კლუბს უდგება აღმასვლის პერიოდი და ამათ რა ღმერთი გაუწყრებოდათ. ასეთი პერიოდი სანსებასტიანელებს 70-იანი წლების შუაში დაეწყოთ, როცა ევროთასზე გააღწიეს. 1974-75 წლების სეზონში გუნდმა უეფას თასის პირველივე წრეში წააგო „ბანიკთან". სამაგიეროდ, ერთი წლის მერე „გრასჰოპერი" დაამარცხა და „ლივერპულს" დაეჯახა. „სოსიედადი", ცხადია, განადგურდა (1:3, 0:6), მაგრამ ინგლისელებთან პირველი მატჩი სადებიუტო გამოდგა 21 წლის მეკარე ლუის არკონადასთვის, ვინაც „სოსიედადის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

არკონადა დიდ ფეხბურთში „სოსიედადის" ჭაბუკთა გუნდიდან მივიდა. „ლივერპულთან" სადებიუტო მატჩის მერე ჩემპიონატშიც გამოჩნდა და ორი წლის მერე ნაკრებშიც გამოიძახეს. მან ზედიზედ სამჯერ მიიღო რიკარდო ზამორას პრიზი, რომელიც სეზონში ყველაზე ნაკლები გოლის გამშვებ მეკარეს ეძლევა. მან 68 მატჩი ჩაატარა ნაკრებში.

„სოსიედადს" 1980 წელს ერთი ქულა დააკლდა ჩემპიონობამდე, წინ „რეალი" გაუშვა, სამაგიეროდ, იმ წელს დაიწყო დღემდე დაუმხობელი სარეკორდო სერია — ზედიზედ 38 წაუგებელი მატჩი. ასე რომ, ახლანდელი დაუმარცხებელი სერია გუნდისთვის ზღვარი არ არის.

მომდევნო სეზონში კი ბასკები მაინც შესწვდნენ ოქროს. ბოლო ტურში, ხიხონში, „სპორტინგთან" ფრეც ჰყოფნიდათ და გამთანაბრებელი გოლი ბოლო წუთზე გაიტანეს. ამ გამარჯვებით ესპანურ ფეხბურთში ბასკური ოთხწლეული დაიწყო — მომდევნო სეზონში „სოსიედადმა" ტიტული შეინარჩუნა, მერე კი ასევე ზედიზედ ორჯერ ბილბაოელებმა გაიმარჯვეს.

## ოქროს ხანის დასასრული

„რეალისა" და „ბარსელონას" გარდა ესპანეთში ნებისმიერი გუნდისთვის ორჯერ ზედიზედ გაჩემპიონება არნახული წარმატებაა. თუნდაც იმიტომ, რომ უკვე პირველი წარმატებული სეზონის მერე „რეალი" და „ბარსელონა" კლუბი-აღმოჩენის ლიდერებს ყიდულობენ. „სოსიედადმა" პირველი ჩემპიონობის მერე ცდუნებას გაუძლო. ფეხბურთელები არ გაყიდა, სუპერთასზე „რეალს" 4:0 მოუგო, ხოლო 1982 წელს ჩემპიონთა თასზე ნახევარფინალში გავიდა. დაამარცხა „ვიკინგი", „სელტიკი", „სპორტინგი" და თასის მომავალ მფლობელ „ჰამბურგთან" დამარცხდა.



სან სებასტიანმა ესპანეთის ჩემპიონობა პირველად 1981 წელს იზეიმა

გარდა ამისა, ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსმა სანსებასტიანელმა — არკონადა, ზამორა, ლოპეს უფარტე, სატრასტეგი, პერიკო ალონსო და იდიგო რამოსი — ითამაშა.

წარმატებაც ამით დასრულდა. „ბარსელონამ" ერთბაშად ოთხი მოთამაშე გადაიბირა, სხვები სხვაგან წავიდნენ და იმ დიდი „რეალ სოსიედადისგან" ფაქტობრივად არაფერი დარჩა. გადადგა პრეზიდენტი ხოსე ლუის ორბეგოსიც, ვინც 16 წელი მართავდა კლუბს. მას კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, ალბერტო ორმაეჩეაც მიჰყვა, ბოლოს არკონადამაც დაასრულა კარიერა.

## მშვიდობით, ტრადიციავ

გუნდი მთლად რომ არ წამხდარიყო, ხელმძღვანელობამ უპრეცენდენტო ნაბიჯები გადადგა. პირველი ის, რომ ორმაეჩეას წასვლის მერე მწვრთნელად უელსელი ჯონ ტოშაკი მიიწვიეს — პირველი უცხოელი მწვრთნელი 50 წლის მანძილზე. უფრო რადიკალური ნაბიჯი კი უცხოელი ფეხბურთელების მიწვევა იყო.

ბასკური კლუბებისთვის სატრანსფერო პოლიტიკაში ნაციონალიზმის ელემენტები მუდამ ჩვეულებრივი ამბავი იყო. მოგეხსენებათ, ბილბაოს „ატლეტიკში" დღემდე არც ერთ არაბასკს არ უთამაშია. „სოსიედადის" ბოსები კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ: იმდენი ფეხბურთელი გაყიდეს, მათ შემცვლელებს ბასკეთში უბრალოდ ვერ იპოვიდნენ.

უცხოელთა მიწვევას ქალაქში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, თუმცა ვნებათაღელვა მალე ჩაცხრა: ქომაგები დათანხმდნენ კლუბის იმ პოზიციას, რომ წარმატებისთვის ბრძოლას თუ აპირებდნენ, პრინციპებს უნდა შელეოდნენ.

უკანასკნელი პრინციპი კი „სოსიედადში" ამ სეზონის წინ დაირღვა. მართალია, გუნდში უთამაშიათ ინგლისელ ოლდრიჯს და ატკინსონს, ბოსნიელ კოდროს, ლიტველ იანკაუსკასს, იუგოსლაველ კოვაჩევიჩს, რუს კარპინს, თურქ ნიჰათს, ქართველ დემეტრაძეს, მაგრამ არც ერთ ესპანელს.

ეს უკანასკნელი პრინციპი კი „ოვიედოდან" ბორისის გადაყვანით დაირღვა, თუმც ხალხის აღშფოთება არ გამოუწვევია: ეს მცველი სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება და თან მთლად ესპანელიც, ანუ კასტილიელი არ არის, ასტურიელი გახლავთ.

## ტოშაკის პირველი

ჯონ ტოშაკმა 80-იანი წლების დასაწყისის წარმატება ვერ გაიმეორა, თუმც რაღაც მიღწევები მაინც ჰქონდა. 1987 წლის ზაფხულში გუდმა სამეფო თასის ფინალში პენალტების სერიაში დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო" და მეორედ მოიგო ეს ჯილდო, ხოლო ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. მომდევნო სეზონშიც თასის ფინალში გავიდა და „ბარსელონასთან" წააგო. უცნაური ამბავია: „სოსიედადმა" ოთხჯერ წააგო თასის ფინალი (1913, 28, 51, 88) და ოთხივეჯერ... „ბარსელონასთან".

ტოშაკის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, 1989 წლის მაისში ის „რეალმა" გადაიბირა და მას მერე კლუბს არაფერი მოუგია. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ გუნდს კვლავ კრიზისი დაეწყო. 1889-90 წლების სეზონში უეფას თასის მეოთხედფინალს უწია და დიდ კრიზისამდე, ანუ 1998 წლამდე, ევროთასზე კიდევ სამჯერ ითამაშა.

## უძვირესი ქართველი

90-იან წლებში „სოსიედადს" არაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ სტაბილურობა შეინარჩუნა. ფინანსური პრობლემები არ ჰქონიათ. ლუის ორბეგოსის მემკვიდრე ინაკი ალკისა, მისი შემცვლელი ლუის ურანგა და ახლანდელი პრეზიდენტი ხოსე ლუის ასტიასარანი (ამ პოსტზე 2000 წელს აირჩიეს) ფულს ჭკვიანურად ითვლიდნენ. კლუბს არასოდეს დაუხარჯავს დიდძალი ფული საეჭვო ტრანსფერებში. მხოლოდ ორ შემთხვევას იხსენებენ, ამა თუ იმ მიზეზის გამო მოთამაშემ გუნდში ფეხი რომ ვერ მოიკიდა — 3 მილიონ დოლარად ნაყიდ კოლუმბიელ ფორვარდ ბონილიას და ხუთმილიონიანი გიორგი დემეტრაძეს. ქართველი კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირი შენაძენიცაა.

ბოლო წლებში „რეალ სოსიედადი" ესპანეთის ათ უძვირეს კლუბს შორისაა. წინა სეზონში მისი ბიუჯეტი 24 მილიონი ევრო იყო, წლეულს [illegible] ნხა 20 მილიონით გაიზარდა.

ფულის ყაირათიანად ხარჯვის გამო გუნდში არასდროს ყოფილა პრობლემები სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით, რასაც მალიმალ აწყდებოდნენ ბევრად მდიდარი გუნდები. კლუბს კარგი მწვრთნელების მოწვევის საშუალებაც ჰქონდა: ხავიერ ირურეტა, ბერნდ კრაუსი, ხავიერ კლემენტე, ჯონ ტოშაკი. მოგვიანებით იყიდეს ნიჰათი, დაიბრუნეს კოვაჩევიჩი, ვიგოელებზე უკეთესი კონტრაქტი შესთავაზეს კარპინს.

## და მაინც...

ერთი სიტყვით, შეშფოთების მიზეზი სანსებასტიანელებს თითქოს არ ჰქონდათ, ამიტომ 1997-98 წლების კარგი სეზონის შემდეგ უეცარი ჩავარდნის მიზეზები მთელი ესპანეთისთვის დღემდე გამოცანად რჩება. მომდევნო წელს გუნდი მეათე იყო, მერე კი ცხრილის ფსკერზე დაილექა და ხელმძღვანელობამ ბერნდ კრაუსი გაუშვა.

თუმცა ხავიერ კლემენტეს მისვლამ ვერაფერი შეცვალა, ერთი ეგაა, გავარდნას გადაარჩინა, მაგრამ როცა მომდევნო სეზონის დასაწყისში კვლავ ფსკერზე აღმოჩნდა, ისიც გაათავისუფლეს. შარშან გუნდმა სამი მწვრთნელი გამოცვალა: კლემენტე პერიკო ალონსომ შეცვალა, ალონსო — გუნდში მესამედ მოსულმა ტოშაკმა და გუნდი გავარდნისგან კვლავ ბოლო წამს გადარჩა. და როცა შარშან ყველაფერი ზუსტად ისევე წარიმართა... მოკლედ, 29 ტურის მერე ტოშაკმა გუდა-ნაბადი აიკრა და გუნდის ხსნა მეორე მწვრთნელს, რობერტო ოლაბეს დაევალა. ოლაბემ, შეძლო, „სოსიედადი" მე-13 ადგილზე გაეყვანა, არადა, წარმოიდგინეთ: დიდი შანსი იყო, წლეულს „სოსიედადი" საერთოდ არ ყოფილიყო პრიმერადივიზიონში.

## ბატონი დენიო და იღბალი

და მაინც რის ხარჯზე აღზევდა წლეულს „სოსიედადი"? თან ისე აღზევდა, რომ მისი დამმარცხებელი არავინაა? ეგებ, უპრიანი იყოს, კითხვის ფორმულირება შევცვალოთ: რატომ ვერ ახერხებდა გუნდი ასე თამაშს თუნდაც შარშან? არადა, შემადგენლობა ხომ ფაქტობრივად იგივეა — ძირითადი შემადგენლობის ერთადერთი ახალწვეული რუსი ვალერი კარპინია, ხოლო წარმატების მასზე მიწერა მთლად სწორი არ უნდა იყოს. იგივე ნიჰათი და კოვაჩევიჩიც შარშანდელ სეზონში არაფრით გამოირჩეოდნენ. ერთი სიტყვით, კითხვები ბლომად დაგროვდა.

თითი უპირველესად რეინალდ დენიოსკენ უნდა გავიშვიროთ — კლუბის ისტორიაში მეხუთე უცხოელი მწვრთნელისკენ. ის, რომ ფრანგი ჭკვიანი სპეციალისტია, ჯერ კიდევ მისი „ნანტში" მუშაობისას გამოჩნდა. 2001 წელს „ნანტი", არაფრით გამორჩეული და სხვათა შორის, „რეალ სოსიედადის" ყაიდის გუნდი, დენიომ საფრანგეთის ჩემპიონი გახადა. არც „ნანტს" და არც „სოსიედადს" ასტრონომიული ბიუჯეტი არ გააჩნიათ, ვარსკვლავებიც არ ჰყავთ. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, დენიომ „სოსიედადს" შრომისმოყვარეობა, ჟინი და საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგა, რაც აგრერიგად აკლდა წინა წლებშიო.

აქა-იქ იღბალსაც ახსენებენ, თუმც იღბალი ხომ მეტწილად ძლიერებს სწყალობთ. თუნდაც ბოლოსწინა ტური გავიხსენოთ: მალაგელთა მეკარე პედრო კონტრერასმა ბურთს დაარტყა, ხოხლოვს გაარტყა და კარში შეგორდა. ის თამაში ფრედ დასრულდა, ანუ კურიოზული გოლი რომ არა, „სოსიედადი" დამარცხდებოდა.

სამომავლოდ კი... სამომავლოდ „სოსიედადი" ეგებ ვერც შესწვდეს ესპანეთის ჩემპიონობას, მაგრამ დღეს ისე ჩანს, რომ თუ წაიფორხილებს, მხოლოდ გადაღლილობის გამო. კაცმა რომ თქვას, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაც დიდი წარმატება იქნება.

დღეს კი სან სებასტიანში ამბობენ, ქალაქთა სიდიდის მიხედვით, საუკეთესო გუნდი ჩვენ გვყავსო და ითვლიან: მადრიდი და ბარსელონა მრავალმილიონიანი ქალაქებია, ვალენსიაში დაახლოებით მილიონი კაცი ცხოვრობს, ბილბაოში ნახევარი მილიონი, სევილიასა და ლა კორუნიაში — 300-300 ათასი. სან სებასტიანი ყველაზე პატარა ქალაქია მათ შორის, რომელთა გუნდებიც ქვეყნის ჩემპიონი გამხდარან. იქ 200 ათასი მოსახლეა.

**გიორგი დარჯანია**



სანამ „სოსიედადის" კარს ლუის არკონადა იცავდა, ბასკებს არაფერი უჭირდათ

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

# საკრამენტომ დალასს აბანომდე გამოუშჩინა

15 იანვარი

**ინდიანა 104:81 მაიამი**
**ინდიანა:** ტინსლი (9), რ. მილერი (2), არტესტი (18), ონილი (13), ბ. მილერი (21); ჰარინგტონი (13), ფოსტერი (7), მერსერი (6), სტრიკლენდი (9), ბრიუერი (2), ჯონსი (2), ბრუმეცი (2)
**მაიამი:** კარტერი (2), რ. ბატლერი (21), კ. ბატლერი (2), ალენი (4), გრანტი (4); ლემპლი (13), ჯეიმსი (9), სტეფანია (21 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი), ელისი (7), ჰაუსი (3), მარქსი (2)

**დენვერი 81:92 იუტა**
**დენვერი:** ჰარინგტონი (6), იარბრო (8), ბოუენი (7), ჰოვარდი (12), ილარიო (24); კროტი (7), ვაიტი (7), ბლუნტი (6), ჰარვი (4), ცქიტიშვილი (15 წუთი, 0 ქულა, 2 პასი, 1 მოხსნა)
**იუტა:** სტოქტონი (13 ქულა, 9 პასი), ჩინი (2), ჰარპრინგი (17 ქულა, 11 მოხსნა), მელოუნი (16 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ოსტერტაგი (13 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება); კირილენკო (11), პადჯეტი (8), სტივენსონი (6), ჯეკსონი (4), მასენბურგი (2)

**საკრამენტო 123:94 დალასი**
**საკრამენტო:** ვებერი (29 ქულა, 15 მოხსნა, 11 პასი), სტოიაკოვიჩი (23), კრისტი (18), ბიბი (16)
**დალასი:** ვან ექსელი (20), ნოვიცკი (15)

**ფილადელფია 108:107 ნიუ ჯერსი**
**ფილადელფია:** აივერსონი (34), ვან ჰორნი (16), სნოუ (16)
**ნიუ ჯერსი:** ჰარისი (26), მარტინი (24 ქულა, 16 მოხსნა), ჯეფერსონი (20), კიდი (9 ქულა, 16 პასი)

**ჰიუსტონი 102:96 ფინიქსი**
**ჰიუსტონი:** მობლი (30), ფრენსისი (19)
**ფინიქსი:** მარბერი (32), მარიონი (25 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (24 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 82:90 ლეიკერსი**
**ნიუ ორლეანი:** დევისი (20)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**ბოსტონი 86:66 ატლანტა**
**ბოსტონი:** პირსი (28), უოლკერი (20)
**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (19)

**ტორონტო 87:99 მილუოკი**
**ტორონტო:** პეტერსონი (22), ჯ. უილიამსი (18 ქულა, 17 მოხსნა)
**მილუოკი:** კასელი (19), კუკოჩი (15)

**გოლდენ სტეიტი 108:80 კლივლენდი**
**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (24)
**კლივლენდი:** დევისი (21), ბუზერი (18)

**პორტლენდი 100:92 მემფისი**
**პორტლენდი:** ვოლესი (38), პიპენი (18)
**მემფისი:** გასოლი (19), ბეტიე (17)

**კლიპერსი 64:95 მინესოტა**
**კლიპერსი:** მეჯიტი (20)
**მინესოტა:** გარნეტი (21)

თუკი მოგება-წაგებათა სადღეისო ბალანსს დავეყრდნობით, „დალას მავერიკსი“ სეზონის საუკეთესო გუნდად უნდა ჩავთვალოთ, რაკი თამაშების უმრავლესობას იგებს, თან საკუთარი უპირატესობის სრული შეგრძნებით. მაგრამ სანამ ამ ახლად წამოჩიტული გუნდის ქება-დიდებას გავაგრძელებთ, უკეთესი იქნება, ის ფაქტი გავიხსენოთ, რომ რეგულარული ჩემპიონატი, სადაც ასე ყოჩაღად გამოიყურება „დალასი“, პლეი ოფის მოსამზადებელი ეტაპია, ეგაა, გაჭიანურებული და ლამაზად „შეფუთული“ და აქ სხვაზე ბევრი თამაშის მოგება არამც და არამც არ ნიშნავს სხვაზე რეალურ უპირატესობას. შარშანდელი პლეი ოფი „დალასმა“ „საკრამენტოსთან“ 1:4 განადგურებით დაასრულა და დაცვაში თამაშის დახვეწის მიუხედავად, არა აქვს იმის გარანტია, რომ წლეულს მაისშიც იგივე არ დაემართება. „საკრამენტოს“ ამ რეგულარულ სეზონში „დალასზე“ ნაკლები თამაში მოუგია, მაგრამ საქმე ურთიერთშეხვედრაზე რომ მიდგა, ყველას მკაფიოდ დაანახვა, ვინ ვინ არის. კრის ვებერმა სამმაგი დუბლი შეასრულა და აჯობა დირკ ნოვიცკის; პრედრაგ სტოიაკოვიჩმა გააბითურა „დალასის“ სიამაყე მაიკლ ფინლი (8 ქულა), მაიკ ბიბიმ კი სიქა გააცალა ფინლის საუკანახაზო მეწყვილეს სტივ ნეშს. საბოლოოდ 123:94 და ეს ანგარიში ბევრი კითხვის პასუხია. ჩვენში დარჩეს და, ესეც რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი თამაში იყო. ასე რომ, კიდევ მეტ კითხვაზე პასუხს მხოლოდ რამდენიმე თვეში გავახლებთ, აი, მაშინ, პლეი ოფი რომ გაჩაღდება.

25 იანვარს ორივე „ქართულ“ გუნდს მოუწია თამაშმა და ორივეს გამოწერილი ჰქონდა მარცხი. ლიდერნაკლული „მაიამი“ აღმოსავლეთის ზეგუნდ „ინდიანას“ ხვდებოდა და მასთან ბრძოლიდან გამარჯვებით გამოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა. ჰოდა, კიდეც წააგო 23 ქულით.

პირტიტველა ბიჭებით გადავსებული „დენვერი“ კი ბებრების „იუტას“ დაუხვდა და ახალგაზრდული მგზნებარება დაახვედრა, მაგრამ ჯერი სლოუნის ზეგამოცდილი გუნდის კლასმა თავისი საქმე გააკეთა. წინა ორი თამაშის წამგები „დენვერი“ სასოწარკვეთილი შეუპოვრობით იბრძოდა. ამ მხრივ სხვებს მაგალითს აძლევდა 20 წლის ბრაზილიელი ახალბედა ნენე ილარიო. მისი კენტი საჯარიმოს შემდეგ მასპინძლები შეხვედრის მიწურულს 80:84 წამოეწივნენ „ჯაზს“, ოთხქულიანი სხვაობის დაძლევა კი ორი კარგი შეტევა და ერთი ჩაჭრა ან მოხსნაა. მასპინძლებს თითქოს შანსი მიეცათ, მაგრამ იუტელმა ბებერმა დოსტებმა, სტოქტონმა და მელოუნმა, უმარტივესი კომბინაცია გაითამაშეს — კარლ მელოუნი ფარქვეშ კარგად გაიხსნა, ჯონ სტოქტონმა კი პასი არ დაუგვიანა და იუტა ექვსი ქულით დაწინაურდა. „დენვერმა“ ველარაფერი მოახერხა და ბედს შეურიგდა.

დამარცხებულთა მწვრთნელმა, ჯეფ ბზდელიკმა მაინც შეაქო შეგირდები, განსაკუთრებით კი კარლ მელოუნთან და მთა გრეგ ოსტერტაგთან ჭიდილში 24 ქულის ჩამგდები ნენე ილარიო, თქვა — ეს ბიჭი სამი თვეა, ნბა-შია და უკვე ვარსკვლავია.

გული გვწყდება, რომ ბზდელიკს იგივე სიტყვები არ წასცდება, როცა „ნაგიტსის“ მეორე ახალბედას, ნიკა ცქიტიშვილის შეფასებას სთხოვენ. „ცქიტომ“ თამაში უქულოდ დაასრულა, პირველად ბოლო 12 მატჩში.

**ირაკლი ფირაშვილი**



კრის ვებერმა „დალასი“ ამბილა



დეიან ბოდიროგას შემწეობით შარშან იუგოსლავიის ნაკრები პლანეტის საუკეთესო გუნდი გახდა. მას ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის იუგოსლავიის წინაშე, თუმც ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ იგი სერბეთის მოსისხლე ხორვატიის შვილია. ბოდიროგა ხორვატიულ ზრენიანინში დაიბადა და მისი პირველი გუნდიც ამ ქალაქისა იყო. ბოდიროგას პირველი პროფესიული კლუბი კი ხორვატთა საამაყო „ზადარია“. მის ქვეყანაში ატეხილმა ომმა ბოდიროგა აიძულა, ხორვატიას გასცლოდა. მოგვიანებით ის დაშლილ-დაპატარავებული იუგოსლავიის მოქალაქე გახდა. სერბ ჟურნალისტ ვლადიმერ სტანკოვიჩთან ინტერვიუში ბოდიროგა წარსულსაც იხსენებს და მომავალზეც ლაპარაკობს...

# ბოდიროგას სამშობლო კალათბურთია

## სერბული არმიის ხორვატი გენერალი



**— თვლით თუ არა, რომ 2002 წელი ყველაზე წარმატებული იყო თქვენს კარიერაში?**

— რა თქმა უნდა. ეს წელი ყველაზე გამორჩეულია ჩემთვის. შარშან ბევრი სასიამოვნო წუთები განვიცადე და ჩემს კარიერაში უმეტესი ტიტული მოვიგე. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსულს ნაკლებ პატივს ვცემ. დღემდე მოგებულ ყველა ტიტულს თავისი ისტორია აქვს და ჩემთვის ძვირად ფასობს.

**— მაინც რომელს გამოარჩევდით?**

— მსოფლიოს ჩემპიონობა უპირველესია, თუმც როგორ დამავიწყდება ჩემი პირველი ტიტული, რომელიც იტალიაში, „ტრიესტში“ თამაშისას მოვიგე 1996 წელს — სერია A-ს ჩემპიონები გავხდით. ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა, მანამდე 4 წელი ვთამაშობდი „ტრიესტში“. სხვათა შორის, მე ვიყავი სერია A-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, 19 წლის კალათბურთელი, რომელსაც იტალიის პროფესიულმა კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა.

**— სანამ ვარსკვლავი გახდებოდით, ყოფილი იუგოსლავიის ჩემპიონატში თამაშობდით. რას იტყვით იმ პერიოდზე?**

— თამაში ჩემს მშობლიურ ზრენიანინში დავიწყე და 15 წლისა უკვე ამ ქალაქის გუნდ „კომბინატში“ ამიყვანეს. „კომბინატი“ იუგოსლავიური ლიგის მეორე დივიზიონში თამაშობდა, მე კი მცირე დროით გავდიოდი ხოლმე მოედანზე. ერთხელ ჩემი თამაში ნახა ხორვატიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ზადარის“ მწვრთნელმა და არ მოისვენა, სანამ თავისთან არ დამიგულა. ჩემი პროფესიული კარიერაც მაშინ, 1989 წელს დაიწყო „ზადარში“, თუმც პირველი სეზონი თითქმის სულ სათადარიგო ვიყავი, მომდევნოში კი რამდენიმე წუთით მიწევდა-ხოლმე ისეთ გრანდებთან თამაში, როგორებიც იყვნენ „იუგოპლასტიკა“ და „პარტიზანი“.

**— ამ დროს ომი დაიწყო და თქვენს სპორტულ კარიერას საფრთხე დაემუქრა...**

— კი, მაგრამ პირადად მე არავითარი პრობლემები არ შემქმნია ომის დროს. უბრალოდ, არასახარბიელო გარემო იყო იმისთვის, რომ სპორტული კარიერა გამეგრძელებინა და ლოგიკურიც გახლდათ, ხორვატიიდან რომ წამოვედი. ჩემს ზადარელ მწვრთნელ კრესიმირ კოშიჩს სურდა, საბერძნეთში გადავბარგებულიყავი. მიწვევდნენ კიდეც აეკ-ი, „პანათინაიკოსი“, „ოლიმპიაკოსი“, მაგრამ ომის გამო საბუთების მოწესრიგება გაძნელდა და კონტრაქტს ვერ გავაფორმებდი.

**— მაშ, როგორ მოახერხეთ თამაშის გაგრძელება?**

— სერბი მწვრთნელი ბოგდან ტანიევიჩი დამეხმარა. მაშინ ის იტალიურ „ტრიესტს“ წვრთნიდა და თავისთან დამიძახა. მიუხედავად იმისა, რომ საჭირო საბუთები არ მქონდა, ტანიევიჩმა გუნდში მაინც ამიყვანა. ოფიციალურ მატჩებში ვერ მათამაშებდა, თორემ სხვაფრივ ჩვეულებრივ ტრიესტელად მთვლიდა. ვვარჯიშობდი და ამხანაგურ მატჩებს ვთამაშობდი. იმ ერთ წელიწადში სერია A-სთვის შემამზადა, მერე საბუთებიც მივიღე და „ტრიესტში“ ოფიციალურად ჩავირიცხე. ტანიევიჩის უზომოდ მადლობელი ვარ.

**— თუ არ ჩავთვლით თქვენს „რეალში“ თამაშს, როცა ამ გუნდიდან უკვე წასული იყო ჟელკო ობრადოვიჩი, სულ სერბი სპეციალისტები გწვრთნიდნენ. თქვენ ხომ არ ირჩევდით?**

— არ ვამბობ, სხვა ეროვნების მწვრთნელის ხელმძღვანელობით ისე კარგად ვერ ვითამაშებ, როგორც სერბ სპეციალისტებთან მუშაობისას გამომდის-მეთქი, მაგრამ იმას კი ვაღიარებ, რომ სერბები უკეთ მიგებენ და სჯერათ ჩემი. მათთან განსაკუთრებული ურთიერთობები მაკავშირებს.

**— ზადარი, ტრიესტი, ათენი, ბარსელონა... ესენი ხმელთაშუა ზღვის ქალაქებია. დამთხვევაა, თუ გიყვართ ზღვა?**

— არაა დამთხვევა, ზღვა ძალიან მიყვარს და გუნდის შერჩევისას ამ მომენტსაც ვაქცევდი ყურადღებას. ამ ქალაქებში თავს ბედნიერად ვგრძნობდი, თანაც ყველგან მომიგია ტიტულები.

**— ახლა ჯერი ბარსელონაზეა?**

— მე კი მჯერა, რომ ასე იქნება, მაგრამ თქვენთან ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვი. მხოლოდ იმის გარანტიას ვიძლევი, რომ ვიბრძოლებ და ჩემს მაქსიმუმს გავიღებ.

**— ევროლიგაში ვის მიიჩნევთ „ბარსელონას“ კონკურენტებად?**

— ცსკა, „ტაუ“, „ბენეტონი“, „პანათინაიკოსი“... ყველა დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს. ისე, ვფიქრობ, „კინდერი“ და „რეალიც“ იტყვიან თავის სიტყვას.

**— „ბარსელონასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ნბა-ში არ წახვალთ?**

— ნბა-ში გადასვლა არაა ჩემთვის პრობლემა, მაგრამ მაქვს გარკვეული პრინციპები, რომელთა გამოც არ მსურს ამერიკაში წასვლა და ამაზე ახლა ნუ ვისაუბრებთ. ევროპაში კომფორტულად ვგრძნობ თავს და 2005 წლამდე ბარსელონელი ვიქნები, მერე კი ვნახოთ, რა იქნება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრალიის ღია პირველობა 2003

## მეორე წრე

### კაცები

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ტოდ ლარქემი (ავსტრალია) 6:1, 6:0, 6:1; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:4, 6:1; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:0, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (7, ჩეხეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 (7:3), 7:6 (7:5), 4:6, 4:6, 6:3; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — ანდრე ვოინია (რუმინეთი) 6:2, 6:2, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ჯეიმონ კრაბი (ავსტრალია) 6:1, 7:6 (7:3), 6:3; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 6:7 (5:7), 6:3, 6:1, 7:6 (7:4); **იუნეს ელ აინაუი** (18, მაროკო) — ვადიმ კუცენკო (უზბეკეთი) 6:2, 6:1, 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (19, არგენტინა) 6:3, 6:3, 2:6, 6:3; **ქსავიე მალისი** (20, ბელგია) — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 6:3, 5:7, 7:6 (8:6), 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (23, აშშ) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:1, 6:4, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ჯოზეფ ზირიანი (ავსტრალია) 6:2, 6:3, 6:3; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — გუსტავო კუერტენი (30, ბრაზილია) 5:7, 6:3, 7:5, 4:6, 6:3; **რაინერ შიუტლერი** (31, გერმანია) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3, 7:5, 6:4

### ქალები

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 6:4, 6:0; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:0, 6:0; **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:7 (6:8), 7:5, 6:3; **ანასტასია მისკინა** (8, რუსეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 5:7 6:2, 6:3; **ჩანდა რუბინი** (10, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 0:6, 6:4, 6:2; **მაგდალენა მალეევა** (11, ბულგარეთი) — ჩო იოონ-ჟონი (სამხრეთ კორეა) 2:6, 6:4, 6:1; **ანა პისტოლეზი** (14, ისრაელი) — მაია მატევზიჩი (სლოვენია) 5:1 (მატევზიჩმა შეწყვიტა); **ნატალი დეში** (16, საფრანგეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ელენი დანილიდუ** (18, საბერძნეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:2; **ამანდა კუცერი** (19, სამხრეთ აფრიკა) — ელენა იანკოვიჩი (იუგოსლავია) 6:2, 4:6, 6:4; **ელენა ბოვინა** (20, რუსეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:1, 6:2; **მეგენ შონესი** (25, აშშ) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; **ტამარინე ტანასუგარნი** (26, ტაილანდი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:2, 3:6, 6:3; **კლარისა ფერნანდესი** (28, არგენტინა) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:3, 6:4



REUTERS მელბურნიდან

შავი დევქალი სერენა უილიამსი ჩოგბურთს დაეპატრონა



მარი პირსი უკვე დიდილი დედიკაცია

# მე პატარა გოგო ვარ

## უწმაწური სერენა ბოდიშსა და 1500 დოლარს იხდის

### გულის ვარდები

კიდევ ამჯერის მკვირცხლი უსტარაში ლეიტონ ჰიუიტი და მისი ბელგიელი გულის ვარდი კიმ კლაისტერსი გუშინ ისე დაუნდობლად გაირჯნენ, რომ მეტოქეებს ჯამში მხოლოდ ორი გეიმი წაალეს. ეს ორიც ლეიტონის მიერ ძლეულმა ტოდ ლარქემმა მოიგო, თორემ ფუძიული კიმს უნგრელი პეტრა მანდულა სულაც გეიმწაუგებლად შემოჭარცხა.

ტოდ ლარქემი ერთი ისეთა ჩოგბურთელია — 28 წლისას მნიშვნელოვანი არაფერი მოუგია, უღიმღამო კარიერა დიდი სპორტის ჩრდილში გაუტარებია და მსოფლიო კლასიფიკაციაშიც ოდენ 235-ე ადგილი უკავია. ხოლო, თუკი მისი და ჰიუიტის გუშინდელ თამაშს გამორჩეული ყურადღება მაინც დაეთმო, ეგ მათი წინა შეხვედრის გამო. წინა ჯერზე კი მათ 1996-ში იპაექრეს — ერთ ისეთა მელბურნულ შოდატურნირზე — და ლარქემმა მაშინ ჯერაც 15 წლის უცნობილი, თუმცა უკვე ამბიციური ლეიტონს 6:0, 6:4 მოუგო. ჰიუია, იმიტომაც სწორედ ის აინტერესებდათ, როგორ დაიბრუნებდა მათი ორგზის მესლემტიტულე ვალიანი 6 წლის წინ გაცემულ გეიმებს...

ჰიუიტი: „იმზებიან თამაში ყოველთვის ძნელია. მაგრამ სლემტურნირზე საქმის შემლებისდაგვარად მალე მოგვარებას უნდა ეცადო. ოთხი გამარჯვება განსაკუთრებით მეამა მაგნუს ლარსონთან გადატანილი ხუთსეტიანი ბრძოლის შემდეგ. დღეს დამშვიდებით ვიყავი და მიხარია, რომ ასე მოვიგე".

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელებს შინაური სლემტიტული შორეული 1976 წლის შემდეგ აღარ ჩაჯდომიათ. უკანასკნელი იგი, ვინაც მინ იპარველა, მარკ ედმონდსონი იყო. ჰიუიტი არ მალავს, რომ მისი უმთავრესი საამუზეო მიზანი სწორედ ამ 26-წლოვანი ნაპრის გატეხვაა.

მომავალ წრეში მას ისეც ზორბა მეტოქესთან, გუსტავო კუერტენის მაიტარ რადეკ სტეპანეკთან შეხვდა მოუწევს. სტეპანეკისა და გუგაზე ქვემოთ წავიკითხავთ, ახლა კი, ბარემ კიმ გვახსენებია და მისი თუმაც ბოლომდე ამოვწუროთ.

უნგრელი მანდულა, ვინაც ჩოგბურთსაც გინძე სულაც არ გახლავთ და შორიშორ ათი-ოქ მასზე ალამტებული ქალებისთვისაც უგულია, კიმმა სულ რაღაც 33 წუთში გაუსწორდა. ამით მან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მიდაულოდნელისტური ფინალის საჯარიჯდო ჩამწვლელის მორის ის ახლა უცილობელი ფავორიტია.

ნაცრიფნებს კიმ თავს ძალდატანო ლამაზდაზე გრძნობს: „მეტოქის ასე განადგურების შემდეგ ყოველთვის ცუდად ხარ. მართალია, კორტზე ყოვნისას ამაზე არ ფიქრობ და, პირიქით, ერთი სული გაქვს, რაც შეიძლება მალე მოიგო, მაგრამ როცა მატჩი დასრულდება, სინდისი გქენჯნის. ერთი ის მახარებს, რომ გამომშვიდობებისას პეტრა მაინც იღიმებოდა. ეს კი ბევრს ნიშნავს... საკუთრივ ჩემს თამაშში რაც შეეხება, კმაყოფილი ვარ, ახლა მართლაც ყველაფერი კარგად გამოდის. ვცდილობ ცოტა გავიზარდო და მოვიწიფო, ჩემი თავის ახლა უფრო მჯერა და ალბათ სწორედ ამის გამოა, ყველაფერს სხვანაირად, ოღნავ უკეთესად რომ ვაკეთებ".

### სერენა

ქალთა ამჟამინდელი მეპირველე თითქოს გაწონასწორებული გოგოა — კორტზე თუ კორტსგარე ის რაიმე კაპასობა-სიანჩხლეში არასოდეს შეუნიშნავთ. ჰა-ჰა, ფიცხელი ორთაბრძოლისას გადამწყვეტი ქულის მოგების შემდეგ „ესეც შენ"-ის აღმნიშვნელი მოძრაობა გააკეთოს. მაგრამ ეგ რა არის, ეგეთ რამეს ყველა დიდ ჩემპიონს ჰპატიობენ ხოლმე.

თუმცა იმ დღეს, ჩია ფრანგი ემილი ლუა რომ „კინალამ" პირველივე წრიდან აბუნძურებდა, სერენას ცნობა მართლაც შეუძლებელი იყო. გარეგნულად დედალ ავაზას რომ ჩამოჰგავს, იმ ლამის წაგებულ მატჩში ისე აიმღვრა და აიწეწა, რომ გახელებულ პირუტყვს შინაგანადაც დაემსგავსა — ისეთები იგინა, რომ მეტოქეც შეაძრწუნა და მოსჯერიც.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ტურნირის ორგანიზატორებმა მისი იმდღევანდელი უწმაწური ქცევა-მეტყველება მქროგნისთვის დასტურ შეუფერებელ ამბად ჩაუთვალეს და ჯარიმად 1500 დოლარი მოსთხოვეს. ცნობისთვის — ტურნირის პირველ დღეებში 1000 დოლარზე მეტით არავინ დაჯარიმებულა.

სერენა: „სიმართლე გითხრათ, ცოტა დაძაბული ვარ. შეიძლება ჩემი ბრალია — ჩემს თავს მე თვითონვე დიდ წნეხში ვაქცევ. ხანდახან ისე მიჭირს, რომ შეიძლება გადავირიო. მე პერფექციონისტი ვარ — ვცდილობ, ყოველდღიურად განვვითარდე და დავიხვეწო, ამიტომ, როცა რაღაც ისე არ მიდის, როგორც მე მსურს, კონტროლს ვკარგავ და ვშმაგდები. ოღონდ, რაც უფრო დრო გადის, ასე მაინც უფრო იშვიათად მემართება — სულ უფრო მეტად ვახერხებ, საკუთარ გრძნობებს მოვერიო. უკვე შევიგნე, რომ თუ ნერვებს ავყვები, ყველაფერი უარესად იქნება. შეეცადეთ, თქვენც გამიგოთ, მე ხომ ჯერ არც ისე დიდი ვარ — 21 წელი ალბათ ის ასაკი არ არის, როცა ერთხელაც არ მიჰქარავ".

მიუხედავად ამგვარი საჯარო მეღიტაციისა, განსაკუთრებული სიმშვიდე სერენას არც გუშინ, ბელგიელ ელს კალენსთან საწყის გეიმებში ეტყობოდა. მაგრამ მერე და მერე — თანდათანი წარმატების კვალდაკვალ — რიჩარდის უმცროსი ასული მოეშვა და მეორე სეტში ისე იჩოგნავა, როგორც მისგან გამოელიან კიდეც.

### გუგა

სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს გუშინ სამი საათი და 47 წუთი დასჭირდა საიმისოდ, რათა კიდევ ერთხელ, ჯამში კი მეშვიდედ დარწმუნებულიყო — ავსტრალიის ღია პირველობაზე მას მეორე წრის იქით არ გაესვლება. 26 წლის დიადი მეთიხნარე ამაში ამჯერად რანგით 69-ე ჩოგნის მჭნეველმა ჩეხმა, რადეკ სტეპანეკმა დაარწმუნა.

უმძაფრესი 5-სეტიანი გაიდაგანა, რაიც მწველი ოზური მზის თანხლებით მიმდინარეობდა, უფრო დამღლელი სამხრეთამერიკელისთვის გამოდგა. თუკი ბოლო სეტის შუაწელამდე მან მაინც ღირსეულად იომა, მეექვსე გეიმში ბრეიკპოინტის ვერგამოყენების შემდეგ ერთბაშად მოიჩვარა და მეტი აღარ გამალიანებულა.

არადა, ერთი კვირის წინ ოკლენდური ტურნირის მომგები მელბურნში პირველი წარმატების შემდეგ ამბობდა, რომ ასე იმედიანად ჯერ კარიერის არც ერთი სეზონი არ დაუწყია.

გუშინ გუგა უკვე სხვაგვარად ბჭობდა, თუმცა „შეჩვეულ ჭირს" მისთვის გული მაინც არ გაუტეხავს: „დღეს ჩემს თამაშს ცუდი სულაც არ ეთქმოდა. მართალია, რამდენჯერმე დასანანად შევცდი, მაგრამ ჯამში უკმაყოფილო მაინც არ ვარ. რა ვუყოთ — აქ მესამე წრეში გარღვევას გაისად ვეცდები. ამ სეზონს კი მაინც იმედით ვეგებები, მჯერა, რომ შარშანდელისგან განსხვავებით წლევანდელს ყველაფერი უკეთ იქნება. რასაკვირველია, უმთავრეს მიღწევებს თიხნარზე ვეგებავ, მაგრამ სლემტიტულებისთვის ბრძოლას ნებისმიერ საფარზე ვეცდები. ამ სეზონში ზეპურთა გუნდს უნდა დავუბრუნდე".

### მონიკა და მარი

ავსტრალიის ღია პირველობის ოთხგზის გამარჯვებულ მონიკა სელეშისა და 1995 წლის ჩემპიონ მარი პირსის შესახებ წინა ჯერზეც წყვილად გამბეთ. რაღა დასამალია და, მაშინვე ითქვა, რომ ამ სახელოვან და ასაკოვან ქალთა დიდი გამარჯვებებისა უკვე აღარავის სჯერა. ვაგლახ — ეს არც ჩეხ მეკვალიფიკაციე კლარა კუკალოვასა და ჩია ჩანდა რუბინს სჯერებიათ. პირველმა იუგოამერიკელი არტა, მეორემ კი — კანადოფრანგი. უცნაურია, მაგრამ მონიკასაც და მარისაც მოსაგები ილაჯი მხოლოდ საპირველსეტებოდ ეყოთ, მომდევნოებში კი მათ თანდათან მოუკლეს და სინქრონულად გამოვარდნენ.

9-გზის მესლემტიტულე მონიკა რაგინდარა დიდი ტურნირის მეორე წრიდან აქამდე მხოლოდ ერთხელ გამოვარდნილიყო — 1996 წელს უიმბლდონური ტიტულისთვის ბრძოლა მან სწორედ ამავე ეტაპზე შეწყვიტა.

### სხვაფრივ

კვლავ ჩაუქად გაირჯა და წინა შეხვედრის მსგავსად კონცენტრაცია ამჯერადაც ერთხელ, მეორე სეტში დაკარგა შარშანდელმა ფინალისტმა, რუსმა მარატ საფინმა. მსოფლიოში 84-ე ალბერტ მონტანესს მან საქმე ორ საათსა და 10 წუთში, შესამჩნევი გართულებების გარეშე მოუგვარა.

პირველ წრეში ბრაზილიელი ფლავიუ სარეტას გზას გაუყენა გერმანელი ლარს ბურგსმიულერი მეექვსე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა. მატჩი მან ამჯერადაც სეტისწაუგებლად მოიგო, თუმცა — გაცილებით იოლად.

ძალიან გაუჭირდა და სამსაათნახევარიანი დავიდარაბის ბედი მხოლოდ მეხუთე სეტის მიწურულში, ერთი მოხდენილი, გეიმგამტეხი დარტყმით გადაწყვიტა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა, ვისაც შეუპოვარი ომი გაუჩაღა ციდა ბელგიელმა ოლივიე როხუსმა.

და კიდევ — მომავალ წრეში ჯუფთად და დარდიმანდად გავიდნენ ამერიკელი დოსტები, ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი. მათგან ყველა რაღაც განსაკუთრებულს მოელის, რაკიღა ისინი ამერიკელთა ახალთაობის უდავო ლიდერები არიან.

### მარტინა

მოწმენდილ საჩოგბურთო ცაზე გუშინ ერთადერთი მეხი გავარდა — 22 წლის შვეიცარიელმა მჩოგნემ, ხუთგზის მესლემტიტულემ და მსოფლიოს ოდინდელმა მეპირველე მარტინა ჰინგისმა განაცხადა, რომ შესაძლოა, აღარასოდეს დაუბრუნდეს პროფესიულ ჩოგბურთს.

ჰინგისი: „ჰო, ეს მართლაც სავსებით შესაძლებელია. ფეხები ალბათ არ მომცემენ საშუალებას, ისევ ვითამაშო".

შეგახსენებთ, რომ მაისში გადატანილი ოპერაციის შემდეგ მარტინა დიდ კორტს ძალზედ წარუმატებლად დაუბრუნდა, ვერაფრის მოგება ვერ შეძლო და რამდენიმე თვით დასვენება არჩია. ის ახლა სამშობლოშია და მელბურნში მიმდინარე მოვლენებს თვალს იქიდან ადევნებს.

ჰინგისი: „იმას არაფერი სჯობს, როცა უყურებ, თუ როგორ დარბიან სხვები ამ სიცხეში. ისე არ იფიქროთ, თითქოს დეპრესიაში ვარ და ყველაფერი მომყირჭდა. სულაც არა. ბოლო ორი თვეა ან თხილამურებზე ვარ, ან ტყეში ვსეირნობ ძაღლთან ერთად. სკოლაშიც დავდივარ — მსურს, ინგლისურს უკეთ დავეუფლო. პირადი ცხოვრებისთვისაც უფრო მეტი დრო დამრჩა. ფეხები რიგზე მაქვს, მაგრამ ეს — მხოლოდ კორტზე გასვლამდე. როგორც კი ვარჯიშის დაწყებას ვაპირებ, ისინი უმალვე მტკივდება და ჩოგნის გაქნევასაც ველარ ვახერხებ".

**ლევან ძელაურაძე**

# გვჭირდება კი ასეთი ხელბურთი?!

**უსახურად,** ოღონდ კარის ნაზად გაჯახუნებით დაასრულა საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.

შეგახსენებთ, ჩვენებს არც ისე ძლიერი კონკურენტები ჰყავდათ — ავსტრიის, თურქეთისა და კვიპროსის გუნდები, თანაც ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადიოდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე. ასე რომ, ზაზა ღოლიძის ბიჭებს მშვენიერი საპლეიოფო შანსი ჰქონდათ, მაგრამ რაკი უყურადღებობის გამო საშინაო მატჩებიც მეტოქეთა მოედნებზე გამართეს, წარმატების იმედი თავიდანვე გადაეწურათ. მათ მიყოლებით ხუთი თამაში წააგეს — ავსტრიასთან 24:32 და 19:40, თურქეთთან 28:38 და 24:34, კვიპროსთან 21:24. მხოლოდ დასკვნით, კუნძულელებთან განმეორებით შეხვედრაში როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და ერთი თამაში ძლივს მოიგეს. ნიქოზიაში პირველი ტაიმი ქართველებმა ამჯერადაც დათმეს — 13:14, მაგრამ შესვენების შემდეგ მოახერხეს გარდატეხის შეტანა და მოწინააღმდეგეს მინიმალური სხვაობით სძლიეს — 26:25.

ავსტრიელებთან მეორე მარცხი „სარეკორდო“ გამოდგა. შესარჩევ ციკლში ჩაბმულ 24 ნაკრებიდან 21-ბურთიანი სხვაობით სხვას არავის წაუგია.

ჯგუფში პირველადგილოსნის ვინაობა დღეს ავსტრია — თურქეთის მატჩში გაირკვევა. იმათ რა უჭირთ, ორივეს თავი ქუდში აქვს — ვადამდე გაინაღდეს პლეი ოფის საგზური. ჩვენ კი კვიპროსთან იმ კინკილა მოგებამაც ვერაფერი მოგვცა და ისევე როგორც შარშან, ბოლო ადგილზე დავრჩით.

რას ვიზამთ, ასე სამარცხვინოდ გვექნება საქმე, ვიდრე ნაკრებს მოსამზადებლად ნორმალურ პირობებს არ შევუქმნით. საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ვერც ეს შეძლო და ვერც მეტოქეთა თბილისში მისაღებად საჭირო თანხის შოვნა. ის კი არა, ერთადერთი შინაური შეჯიბრის — ეროვნული ჩემპიონატის დაწყებაც ვერ მოხერხდა და ნაკრების კანდიდატებს გავარჯიშების ეს საშუალებაც მოაკლდათ. თუნდაც რომელიმე ახლო-მახლო ქვეყნის ძლიერ გუნდთან ორიოდე საკონტროლო მატჩის აუცილებლობაზე ხომ ლაპარაკიც [illegible], რა შედეგი უნდა მოვთხოვოთ [illegible] მაშებელ და შეუთამაშებელ ნაკრებს.

ერთი სიტყვით, სამწუხაროდ, აუტსაიდერობა ტრადიციად გვექცა, ხსნა კი არსაიდან ჩანს. გაისადაც იანვარში ოთხგუნდა ტური გველის სხვა მეტოქეებით და იგივე პრობლემებით. ხომ არ ჯობს, ზედმეტი თავის ტკივილისა და სირცხვილის თავიდან ასაცილებლად საერთოდ უარი ვთქვათ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში გამოსვლაზე, რადგან ოლიმპიური პრინციპი — „მთავარია მონაწილეობა“ ვერავითარ ხეირს ვერ მოგვიტანს.

**გია ახალაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# მორცხვი კაცი ქალამნადა

## იოკინენმა ენა გამოყო, მეცაო...

15 იანვარი

**კაროლინა 0:2 პიტსბურგი 0:1 0:0 0:1**

**0:1 სტრაკა (9), 0:2 მანდერვილი (60)**

მარიო ლემიეს წინა მატჩში ჩადენილი გმირობა ძვირად დაუჯდა. ბოსტონთან თავის გადადებამ და ყინულზე რამდენიმე წუთით გამოჩენამ საზარდულის ტრავმა კიდევ უფრო გაურთულა. სამაგიეროდ, ულიდეროდ დარჩენილმა „პინგვინებმა“ კუდი მოიქნიეს და ბოსტონთანაც იმარჯვეს და კაროლინასთანაც.

**კოლუმბუსი 3:4 ანაჰაიმი 0:3 1:0 2:1**

**0:1 ჩისტოვი (13), 0:2 სმირნოვი (14), 0:3 რუჩინი (16), 1:3 მარშალი (34), 1:4 ვალიჩევიჩი (46), 2:4 კესელსი (46), 3:4 სილინჯერი (51)**

**ვაშინგტონი 1:2 რეინჯერსი 1:1 0:0 0:0 0:1**

**1:0 მილერი (2), 1:1 პოტი (16), 1:2 ბუშარი (62)**

ზედიზედ ორი მოგების შემდეგ სპეციალისტები რეინჯერსის აღორძინებაზე ალაპარაკდნენ. ამის საბაბს მარტო მოპოვებული ქულები როდი აძლევთ, გუნდს ჟინიც დაეტყო. ამჯერად სტუმრებმა უკვე მე-2 წუთზე გაუშვეს, მაგრამ მერე რეიენჯერსმა შეძლო იაგრისა და კომპანიის შეჩერება და ოვერტაიმში იხეირა კიდეც.

**ფლორიდა 3:0 ბოსტონი 0:0 2:0 1:0**

**1:0 იოკინენი (22), 2:0 იოკინენი (37), 3:0 ლილია (57)**

„ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ, მგონი, ვიმსახურებ „ოლ სტარში“ თამაშს“ — 23 წლის ფლორიდელი ოლი იოკინენი საკმაოდ თავდაჯერებული კაცი ყოფილა. თუმც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგადად „ოლ სტარში“ ყველა გუნდიდან თითო მოთამაშეს მაინც იწვევენ, თანაც შოუ სწორედ ფლორიდაში გაიმართება, იოკინენის შანსი მცირე როდია. ბოლოს და ბოლოს, „პანტერების“ ლიდერად ქცეულმა ფინელმა უკვე 22 გოლი გაიტანა, რაც გუნდის მონაგრის მეხუთედია.

**ატლანტა 1:0 ბოსტონი 0:0 0:0 1:0**

**1:0 სავარი (56)**

ბობ ჰარტლი თავის ექვსწლიან კოლორადოულ კარიერაში მოგებებს უფრო იყო ნაჩვევი და, ცხადია, არც ატლანტაში უღალატებს ტრადიციას. ამისთვის კი ძალიან ფხიანი გარჯაა საჭირო, შეგირდების ყირაზე დაყენებასაც არ უნდა დაერიდოს. ჰარტლის სადებიუტო მატჩში ატლანტელები ვარსკვლავებს არ შეეთამაშნენ და მათთვის ჩვეული ავანტიურული, მაგრამ სანახაობრივად ლამაზი ჰოკეი არ უჩვენებიათ, სამაგიეროდ, მოიგეს.

**ნიუ ჯერსი 5:0 აილენდერსი 1:0 1:0 3:0**

**1:0 ფრიზენი (17), 2:0 ელიაში (32), 3:0 ტვერდოვსკი (45), 4:0 ბრილინი (50), 5:0 ლანგენბრუნერი (57)**

**ჩიკაგო 4:1 დეტროიტი 0:1 3:0 1:0**

**0:1 ზეტერბერგი (10), 1:1 ჟამნოვი (24), 2:1 საიმონი (30), 3:1 დაზე (30), 4:1 ბელი (56)**

ჩემპიონ დეტროიტს ახალი პრინციპული მეტოქე უჩნდება. ჩიკაგოსთან ყველა მატჩი დამქანცველი ხდება „წითელფრთიანთათვის“. ამჯერადაც, მიუხედავად პირველ პერიოდში დიდი სათამაშო უპირატესობისა, დეტროიტმა მხოლოდ ერთხელ გაიტანა, რასაც ჩიკაგომ საიმონ-დაზეური დუპლეტით უპასუხა და შემდგომში უპირატესობა კბილებით შეინარჩუნა.

**სამველ ღარიბიანი**



განაწყენებულმა დეტროიტელმა შონ ევერიმ მატჩის ბოლოს ჩიკაგოელ სტივ ტომასზე იყარა ჯავრი

REUTERS

# ALL-STAR GAME

# ლემიე ღვინოსავით კაცია

## ძველდება, უფრო ვარგდება

**მოგენატრათ** მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის დუეტი? მაშინ 2 თებერვალს მიუჯექით ტელევიზორს და უყურეთ მორიგ „ოლ სტარს“. ორი წლის განმავლობაში პირველად დაიცავენ ლემიე და იაგრი ერთი გუნდის ღირსებას, მეტიც, ერთი სამეულის წევრები იქნებიან. ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ხალხმა ეს ორი დიდოსტატი აღმოსავლეთის სასტარტო ექვსეულში აირჩია (შეგახსენებთ, რომ წეულს „ოლ სტარი“ ისევ ძველებურად ეწყობა: აღმოსავლეთი — დასავლეთი).

37 წლის ლემიემ წლეულს ყველა დაჩრდილა. იგი 68 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს ბომბარდირთა ლავაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ძველი თაობის უკანასკნელი მოჰიკანი ერთი თავით მაღლა დგას ჩვენი დროის გმირებზე, თუნდაც იმავე იაგრზე. მართალია, იგი საუკეთესო ექვსეულში აირჩიეს და თითქოს კრიტიკასაც არ იმსახურებს, მაგრამ იარომირის მკრთალი თამაში უკეთ მეტყველებს იმაზე, თუ ვინ მეტი ლაკარგა: მის პატივისმცემელ ხალხს ლღესაც პიტსბურგული ხანის მოგონებები ასაზრდოებს. ჰოდა, აკი ლემიემ 155172 ხმა მიიღო, იაგრმა კი 33 ათასით ნაკლები.

ასეა თუ ისე, ჩეხი ზედიზედ მეთერთმეტედ ითამაშებს „ოლ სტარს“. იაგრისა და ლემიეს გარდა სასტარტო ექვსეულში მოხვდნენ: მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა), მცველები სანდის ოზოლინში (ფლორიდა), ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი) და ფორვარდი ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი). სიტყვამ მოიტანა და, იგივე კოვალიოვი, რომელიც ლემიესთან ერთ სამეულში თამაშობს, იაგრზე გაცილებით უკეთეს სეზონს ატარებს. აქვე დავძენთ, რომ ხაბიბულინმა გამოკითხვის ბოლო დღეებში გაუსწრო ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდოს.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა დასავლეთშიც. ცენტრფორვარდებში საკმაო ხანს კოლორადოელი ჯო საკიკი ლიდერობდა, მაგრამ მერე იგი დაშავდა და ამასობაში ათამაშებულმა დალასელმა მაიკ მოდანომ წაართვა ხმები. სასტარტო ექვსეულიდან დეტროიტელი ბრეტ ჰალიც გავარდა. იგი ასევე დალასელმა ბილ გერინმა განდევნა. დანარჩენებმა კი შეინარჩუნეს პოზიციები. ესენი არიან: მეკარე პატრიკ რუა (კოლორადო), მცველები ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) და რობ ბლეიკი (კოლორადო), ფორვარდი ტეემუ სელიანე (სან ხოსე). აღსანიშნავია, რომ ლიდსტრიომმა 164568 ხმა მიიღო და ლემიესაც კი აჯობა. შვედი ზედიზედ მეხუთედ მოხვდა სასტარტო ექვსეულში, კოლორადოს მეკარე პატრიკ რუა კი უკვე ძველი ოლსტარელია — მეათედ ერგო ეს პატივი.

მეტოქეებს ოტაველი ჟაკ მარტენი და ვანკუვერელი მარკ კროუფორდი უთავკაცებენ. სწორედ მათი გუნდები ლიდერობდნენ გამოკითხვის დასრულების დღეს შესაბამისად აღმოსავლეთსა და დასავლეთში და დანარჩენ მოთამაშეებს ისინი დაასახელებენ.

## 2003 წლის ოლ სტარის ხალხის რჩეულნი

### აღმოსავლელი დამწყებები



იარომირ იაგრი



ნიკოლაი ხაბიბულინი



ალექსეი კოვალიოვი



ბრაიან ლიჩი



მარიო ლემიე



სანდის ოზოლინში

### დასავლელი დამწყებები



რობ ბლეიკი



ბილ გერინი



ნიკლას ლიდსტრიომი



მაიკ მოდანო



პატრიკ რუა



ტეემუ სელიანე

# ისევ ვუტონის თასისთვის

ლუის ვუტონის თასისთვის ბრძოლა კვლავაც გრძელდება ოკლენდის ჰაურაკის ყურეში. ფინალის შეათხე შეყრაში „ორაკლ ბეემვეს“ ეკიპაჟმა 2,13 წუთით აჯობა შვეიცარიულ „ალინგის“ და ახლა სერიაში 3:1-ს იგებს. ამიტომაც კარგ ხასიათზეა „ორაკლის“ კაპიტანი ლარი ელისონი, რომელიც თავის საცოლე მელანი კროფტთან ერთად შამპანურს მიირთმევს.



REUTERS ოკლენდიდან



REUTERS კოლუმბია დელ საკრამენტოდან

# მატჩის წინ

ოც წლამდე ფეხბურთელთა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მეორე წრეში, რა თქმა უნდა, გავიდა არგენტინის ნაკრები, რომელიც კოლონია დელ საკრამენტოში მასპინძელ ურუგვაელებს უნდა შეხვდეს. ეს მოჭყუმპალავე ბიჭები უკვე არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავები არიან (მარცხნიდან): ფერნანდო კავენაგი, გონსალო როდრიგესი და გუსტავო ებერტო. ამათგან პირველს ალბათ მალე ვიხილავთ ევროპაში.

# ულრიხის ახალი გუნდი

„ტურ დე ფრანსის“ ოდინდელი გამარჯვებული, გერმანელი ველომხედარი იან ულრიხი უკვე კარგ ხასიათზეა: „დოიჩე ტელეკომის“ გუნდიდან წამოსულმა ახალი კონტრაქტი გააფორმა და ამიერიდან „თიმ ქოუსთის“ გუნდის წევრი იქნება. კონტრაქტი სამწლიანია, 29 წლის ულრიხი კი ორ მილიონ ევროს მიიღებს.



REUTERS ესენიდან




REUTERS ათენიდან

# ჩირაღდანი

ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ჟაკ როგმა და ათენის 2004 წლის ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, გოგოშკასავით ჩაცმულმა იანა ანგელოპულოსმა დიდის კმაყოფილებით წარუდგინეს საზოგადოებას ოლიმპიური ჩირაღდანი, რომლითაც აბრიალდება ათენის ოლიმპიური ცეცხლი. ჩირაღდანი ლითონისა და ხისგან გაუკეთებიათ, წონით შვიდასი გრამია და სიგრძით 68 სანტიმეტრი, იერით კი ზეთისხილის ფოთოლს მოგვაგონებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფუცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ხილომონ გულიაშვილი, გიორგი ლარზაბია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge